

345/2
1903

№: I

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՄԱՅՈՒՆՆԵՐԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

2

ԻՆՏԵՆՍԻՎ



Ո Ն Ե Յ Ն Կ Ո 1903

ყურნალ „ჯეჯილისა“

I ახალ წლის საჩუქარი—სურათი	3
II ახალი წელი ლექსი—შიო მღვიმელისა	4
III შობის ხის ამბავი (ფრანგულიდან) — კლდისა	7
IV ბუ და მიმინო—თეონიკისა	9
V ჭრელი ცხერები იგავი — აკაკისა	11
VI პატარა მსახიობი (საშობაო მოთხრობა) ფრანგულიდან. ბიძასა	15
VII * * ლექსი—შიო მღვიმელისა	24
VIII ცხერი და მწყემსი იგავი — აღ. მიწანაშვილისა	27
IX ათინორ მეკლე (სახალწლო ამბავი) — ა. უუმისთაველისა	30
X როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება — გოტე კლი- ოზაშვილისა	36
XI აშული მიმინო მოთხრობა — თ. რაზიკაშვილისა	44
XII ამბავი ძმობილებისა ლექსი — ბანანასა	58
XIII თეკლ ეს ახალ წელიწადი — ეგ. გაბაშვილისა	61
XIV თამარ მეფე — დ. კარკაშვილისა	64
XV წერილმანი: ანდაზები, ჩქარა გამოსათქმელი, გამოცანები; შარადა, რებუსი და სხვა	77

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ყურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა



საქმავფილ. ნახატებიანი
ჟურნალი


იზრდო, მწკანე ჟიჟილო,
დაბურდო, ტახდი უახლო!..
ი. დ.

№ 1

94

1387

წალიწადი მეთოტხმებთ



ტფილისი

სტამბა ტ. შ. როტინანდისა, № 41 | Тип. Т. М. Ротипияца, Вол. пр. № 41
1903

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Декабря 1902 г.



ახალი წელი.

(პ. მაჭავაძის გოგონებს).



არიურაყია, ადექით
ახალი წელიწადია;
ინატრეთ ვისაც რა გინდათ,
მითხარით ვის რა სწადია.

ამ სიტყვით გამოალვიდა
დედამ თავისი შვილები;
დაბანა პირი, დაკაზმა,
და დაუკვანწა ლილები.

თამრომ ინატრა: მიცოცხლე
ღმერთო მამა და დედაო,
მუდამ მამყოფე ბეჯითი
სკოლაში სწავლაზედაო.

გამიძლიერე ტოლები,
დამიზარდევი დებიო,
მომეცი კარგი ნიშნები
მე ამას გვედრებო.

ანიკო ნატრობს: გამზადე
 ღმერთო თამარას ტოლაო,
 მინდა მეც მქონდეს სახლშია
 „პატარა ნუცას სკოლაო“.

ვასწავლო ჩემსა ტიკინებს,
 წავნიდგან ანა-ბანაო,
 დღით ვაზეპირო ლექსები
 ღამით ვუძღერო ნანაო.

ტერეზა ამბობს: ფუფალა,
 იცი რას გეხვეწებო,
 მეც დამიზარდე რა არი
 ი კუკნა ტიკინებო.

მეც პატარა ვარ, ისინიც
 არც ერთს არ მოგვემატაო,
 გვჩაგრავს, სულ აღარ გვასვენებს
 ჩვენი თვალ-ჭრელი კატაო.

ჩემი პაწია ტიკინა
 ხან-და-ხან თავვი ჰგონია,
 გაიგდებს, გაიბურთავებს
 მას საცა არა მგონია!

არც სხვა დედოფლებს უსვენებს,
 ერთს კაბაც შემოახნია;
 დედამ კი სცემა ამისთვის,
 იმ კუდიანზე ახია!...

საქართველოს
 პარლამენტის
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

1387
 7 989 7

ელენე არასა ნატრობს,
 ჯერ პატარაა, პაწია,
 ყურს უგდებს დების ტიკტიკსა
 ცქრიალა, ტუჩებ — კვანწია.

ჯერ დანდურება არ იცის,
 არც კატას გაებუტება,
 ხან მამას მიუაღერებს
 ხან დედას ჩაეჭუტება.

შ. მღვიმელი.



ეროვნული
 ბიბლიოთეკა
 საქართველო

უოგის ხის ამბავი.



თუ ვეულებს არა, სოკიერის მაინც ნახული გეკნებათ შობის ხე. მაგრამ გიკითხავთ თუ არა დედ. მამისა, ან მასწავლებლისთვის, თუ შობის ხედ რათ სმარობენ უოველთვის ნამკვ, ან რათ ამკობენ მას, სხვათა შორის, თქროს-ფერი ქალაღდის ვარსკვლავებითა?

აი რათა.

თურმე იმ ძღვიძეს, სადაც იესო დაიბადა, ტყე ჰქონდა გარშემო, შესავალს-კი უმშვენებდა სამი ხე: ზეთის ხილი-სა, ნამვისა და ბზისა.

როცა ზეცასე ამოკაშაშდა დიდებული ვარსკვლავი, დიდი ამბის მახარობელი და მოკვთა ეტიკი, ვეულებფერს სუ-

ლი ჩაედგა და ისწრაფოდა ძღვენი მიერთობა ახლათ დაბადებულის ერძისათვის. - სეთის სილის სემ სეთის სილი მოისხა, ბსა მწვანე ტალავრათ შეიფოთლა, მსოლოთ საწვალმა ნაძვმა ვერაფერი მიართვა იესოს. დაღონდა, რტოები ჩამოყარა და თითქო ატირდაო, სუნნელოვანი მოყვითანო წებო კურცხალ ცრემლათ ვადმოსკდა.

ბეთლემის ვარსკვლავმა, რომელიც თავს დაჭკაშკაშებდა წმიდან ძღვიძეს, თვალი მოჭკრა ნაძვის ცრემლსა და შეიცოდა: უცრივ ვარსკვლავების წვიმა მოვიდა და დაღონებული ნაძვი თავით ბოლომდე მოირთო. სულ შემოთკი მოექცა ეველასე უფრო გაშკაშა ვარსკვლავი.

ის დღეა და ეს დღე, უოველ წელს, შობა-ღამით ათასწერი ჰაწია კელანტრებითა და სისილ-ჰიჰილებით მდიდრულათ მორთული ნაძვი ინთება და ბრჭყვიალი ვახქვს ჰატარა ბავშვების სასისარულთ.

კლდია.





ბუ და მიმინო.



მიმინოს ღმერთმა მისცა ნება ჰატარო ფრინველების ჭამისა. ბუს შეეშინდა, ვაი თუ ჩემი შვილებიც შემიჭამოსო, ამისათვის მან მიიზატეხა მიმინო სასაღმრთო და ჩინებულათ გაუმასწინებლად; მაგეურათ ის ზირობა-კი ჩამოართვა მიმინოს, რომ ჩემს ბარტყებს სელი არ ახლოვო.

— კარგი, მაგრამ რათი ვიცნო მე შენი ბარტყები? — ჰკითხა მიმინომ.

— ჩემი ბარტყები არიან ისინი, რომელნიც ეველას ჩიტებსე უფრო ღამასებია — მიუგო ბუ.

ამ ღამასების შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ მიმინოს მოშივდა და სანადიროთ წაუვიდა. ეველას ის ჩიტები, რომელნიც მას ცხასე შემოხვდენ, ღამასები იყვენ, მიმინომ ბუს ბარტყებათ მიიჩნია და, რადგანაც ჰურ-მარლი ჰქონდა მიღებული და მასთან სიტყვა მიჯემული, მათ სელი არ ახლო. ბოლოს წააწედა ნამდვილ ბუს ბარტყებს.


— აბა ამათსე უმსგავსი ფრინველი — სომ არ შეიძლება;

ესენი, რასაკვირველია, ბუს შვილები არ იქნებიანო—თქვა მიძინომ და ბუს ბარტყებს მუსრი გაავლო.

გაიგეს ეს ამბავი სხვა ფრინველებმა და აიგდეს ბუ საცინლათ. აი, ეს არის მიზეზი, რომ ბუ დღისით არ ჩნდება; გამოჩნდება თუ არა დღისით, მას ფრინველები დაედევნებიან და მოსვენებას არ აძლევენ.

თორნიკე.

(პოლონური ზღაპარი).



ჭრელი ცხვრები.

(ი გ ა ვ ი)



ასოგადოთ ჭრელი ცხვრები
 ამოითვალწუნა ლომმა
 და გაწეობა მათი გულში
 სასოგადოთ მოინდომა.

მართალია, საიძისოს
 თუმცა არას შერებიანო,
 მაგრამ მაინც უნებურათ
 თვალში შეხსნირებიანო.

აშკარათ-კი მათი დასჯა
 ძნელი არის! არ ვარგაო,
 რომ არა სთქვან: ეს საწულები
 უმიწესოთ დაჭკარგაო!

მოდი ერთი დაზბასს შევერი,
 რჩევას ვკითხავ ვეხირობსო;
 და ისინი გადასწევეტენ,
 თუ რა ვუყოთ ამ ჭრელ ცხვრებსო.

ვინც-კი ჭეკად ერთგულები
 დაუძანა ერთად ეველას,
 საიდუმლო—სადაზბასოთ.
 და სიტყვა ჭხვდა დათვსა და ძელას.

მოახსენა დათვმა: მიკვირს!..
 საბოდიშო რა გაქვთ თქვენო?
 მიბრძანეთ და ეველას ერთად
 ჭერესივით დავაწვენო!..

დავეტორავ და ისე გავხდი,
 გაუყურებ რბილს და ძვალსო
 და მაშინ ვინ რაღას ჭკადრებს—
 თქვენს კანონს და სამართალსო?..

ძელა ამბობს: ნუ ინებებთ
 მაგას, ჩემო ხელმწიფეო!
 «უცუნი და ეკალ-ნარი
 სხვისი ხელით მოჭკრიფეო!..»

გვიბრძანეთ და ჩვენ ვიკისრებთ
 თქვენ საამო სამსახურსო!..
 და თქვენ ვითომ არც-კი იცით...
 «ნურც მწვადს დასწვამთ, ნურც შამფურსო».

ზირ-აქეთ თქვენ გამობრძანდით,
 მათ მოწუალებ და შემწეთო;
 და შორს სადმე საბაღასო,
 სამოვარათ უბოძეთო.

მურა მკელი მიუხინეთ,
 მოძვლელად და მწუქმსათაო.
 და მაგასე მეტი ფიქრი
 არ ღირს არც ერთ ნეკსათაო!

ვეხირებმა ტაში დაჭკრეს—
 ერთ სმათ მელას საუბარსე.
 და მართლაც მკელს გაატანეს
 მთელი ფარა სამოვარსე.

მკელი ფიქრობს: «მეც ეს მინდა»,
 მათი სისხლი მწუქრიაო»;
 გაუსვა და გამოუსვა
 ვითომ ჭიანჭურიაო!

ბატონ-კაცობს, აღარავის
 არც რიდი აქვს და არც შიში;
 დღეს ერთ ჭქინის, სვალ მეორეს
 აღარ არის ანგარიში!..

—
 დაიგემა ის მსუნავი!
 უმაძღარ გულის ვერ იჯერებს!..
 მარტო ჭრელებს-კი არ არჩევს,
 აღარ სწუნობს არც სხვა ფერებს.

—
 აურია ერთმანეთში,
 ერთიკ აღარ გახსარა
 და ასე დღეს—სვალობაში
 ამოსწუვიტა მთელი ფარა!

—
 ვინც შედავდა იძისოღა:
 მართალია ბატონიო,
 მაგრამ მკელი ვერ გამოდგა
 კარგი მოძულელ-ვატრონიო!

პატარა მსახიობი.

(საშობაო მოთხრობა)



პატარა ბარბარე მეტათ ღირიბი
ოჯანის შვილი იყო. საწყლებს
შობა ღამესაც-კი ერთი ღერი
შემა არ მოეწოვებოდათ, ვანში
სომ იმდენი ჰქონდათ, რომ ერთ-
საც ვერ გააძღობდა, არამც თუ

ოთხ დამძეულ ადამიანს.

როცა შამა ცოცხალი იყო ამათ ბედს ძაღლი არ და-
ჭეუვდა, მაგრამ მის სიკუდილს შემდეგ-კი სრულებით გა-
დატაკდენ.

დედა თვალებს იწვალებდა ჭრბ-კერვაში და ზატარა ბა-
ბოც ცოტაოდენს ფულს იღებდა თვიურათ თეატრიდან, სა-
დაც იმას ბავშების როლებს ათამაშებდენ; ეს იყო მთელი

მათი შემოსავალი, მაგრამ ისინი თამამათ იტანდენ უოველ გაჭირვებას და ერთმანეთს ამხნეებდენ. სძირათ ეოფილა ისეთი სამთრის საღამო მათ ოჯახში, რომ ბუსარში ცეცხლი არა ნთებულიუკეს. საჭმლის სიცოტავე სომ სძირი იყო და სძირი. ამ შემთხვევაში ჰატარა ბეტსი და ემილია მიიკუნჭებოდენ სოლმე ოთახის კუთხეში და საცოდავთ გამოიურებოდენ. ტანისამოსიც არა ჰქონდათ, რომ ქუჩაში მანც გასულიუკენ.

გულ-ჩათუთქული შესცქეროდა ბაბო ამ საღამოს თავის ჰატარა დებს, რომლებიც საცოდავთ ლოკავდენ თეფშებს. ბოლოს ველარ მოითმინა და თავის კერძიც მათ გაუნაწილა.

— ჭამეთ, მე აღარა მშინა. უთხრა მან ბეტსის და ემილიას.

— საბრალო შვილო, შენ სომ დილას აქეთია არა გიჭამია-რა, შენიშნა დედამ.

— რა ვუყოთ მერე, მე კიდევ შემიდლია მოვითმინო. ამ საღამოს სცენასე ახალ ჰიესას ვთამაშობთ და იქ ვანშამი უნდა ვჭამო, ისეა ჰიესაში გამოუვანილი და ახლა რომ გავძლე—სცენასე ჭამას ველარ მოვანერხებ.

— შენ მთელ დღეს მაგ ვანშმის იმედსე ხარ. მწუსარებით წაილანარაკა დედამ.

— დედა, შენ ჩემსე ნუ იდარდებ, უნასუნა ბარბარემ, ვითომ მსიარულათ—მე ამ საღამოს მშვენივრათ ვივანშმებ.



ნეტავი შექმდოს, რომ ის მშვენიერი ვახშაძი თქვენც გარ-
გუნოთ.

თეატრში წასვლის დროც მოვიდა. ბაბომ გადაჭკოც-
ნა დედა და დები და მშიერი მუცლით, გასუნებულ შალში
გასვეული, ქუჩაში გამოვიდა.

მეტათ ცივი და ნოტიო-ნისლიანი ღამე იყო. ვეველგან
მისვლა-მოსვლაში და მსადებაში იყვენ. ტუბილეულობის და
საქმელების მაღასიებში გამოეფინათ სსვა-და-სსვა საუკეთე-
სო ნამსადისი. დამძეული ბაბოც ვერ ითმენდა და სან ერ-
თი მაღასიის წინ გაჩერდებოდა სან მეორესი. იგი აღ-
ტაცებით ათვალეირებდა სსვა-და სსვა ტუბილეულობას, შე-
ბრაწულ ინდოურებს, მსუქან-კვითლათ ჩასუქებულ დედლებს.

--- ნეტა რას მომიტანებენ ამაღამ სცენასუ, ამ დე-
დალს თუ იმ ინდოურს? იქნება ის დიდი ბუფიკი მომი-
ტანონ?

ბარბარე სიამოვნებით მირობდა და გულში ფიქრობდა:
ერთი ძალიან გამოკვდილიო. მაგრამ ამ დროს მას გაანსენდა
დედა და დები, რომელთაც არაფერი არა ჰქონდათ და გუ-
ლი დასწვდა, რომ ისინი ვერ მიიღებდენ მონაწილეობას
მშვენიერ ვახშაძის ჭამაში.

— ოს, დიქროთ, მე რომ ასლა შესანიშნავი მსა-
ხიობი ვიყო, რა კარგი დღესასწაულები ექნებოდათ ჩემს
საუკარელს დედას და დებს! რაებს არ ვუყიდდი, როგორ

საქართველოს
პარლამენტის
მედიის
ბიბლიოთეკა

სამართლები
იტიმნული
ბიბლიოთეკა

მივეფერებოდი, სულ დავაუიწეებდი ახლანდელ გაჭირვებას.

ბაბო სულ იმას ოცნებობდა, რომ გამოჩენილი მსახიობი გამსდარიყო. მეტათ უუვარდა სცენაც და იქაური ცხოვრებაც. მას უფრო ისეთი როლები მოსწონდა, რომელშიაც იყო გამოყვანილი გვირე ქალები, თავ-განწირული და პატოსანი მამულის შვილნი; ასეთი როლები იყო მისი საოცნებო საგანი.

— როცა დიდი მსახიობი გავსდები, ბევრ ფულს ვიშოვი და დედას და დებს ვუზატრონებ, დავაბინავებ, ფიქრობდა უსა-უსა ბაბო.

— მაგრამ როგორ გავსდები მე დიდი მსახიობი? ამას ხომ შრომა უნდა, ეს, ვთქვათ, ჩემსეა დამოკიდებული — ვიშრომებ, თავს არ დავსოვამ, მაგრამ შრომასთან რომ მასწავლებელიც მინდა, სელმძღვანელი? ვკითხებოდა ბაბო თავის თავს და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, რადგან საჩუკემო პასუსს არსაიდან მოელოდა. ვინ ჰქვავდა, მასწავლებელი? არაზინ.

II

ამ ფიქრებში გართული — ჩვენი პატარა მსახიობი, მიადგა თეატრის კარებს. თეატრის შესავალი ბრწყინვალეთ იყო განათებული. ბაბომ ვასწია იმ ოთახისაკენ, სადაც იგი ტანისამოსს იცვამდა. ერთ ოთახში დაეტაკა მაგიდას, რო-



მელხედაც მშვენიერი შემწვარი დედალი იდო, მთელს ოთახში შემწვრის სუნი იდგა.

— ეს უთუოთ ჩემი ვახშამია, კაიფიქრა ბაბომ, — ღმერთო რა მშვენიერი სუნი აქვს... ოხ როგორ მეწვიის კუჭი შიშხილით! — მოდი ცოტას გემოთ ვნახამ, წაიბუტბუტა ბაბომ და შეჩერდა... მას შერცხვა თავისი მსუნავობისა და სირბილით გაიქცა თავისი ოთახისაკენ, თან უკან-კან ისეღებოდა და შორიდან, ხან სუნავდა სანატრელ საჭმელს, ხან კოცნას უგზავნიდა.

ბაბომ ვერ შეამჩნია, რომ იქვე იდგა ჰირველი გამოჩენილი მსახიობი — ჯონ ჰასტინგსი და ვუელაუერს სედავდა.

— აი, შე ჰატარა გაუმაძღრო! ვერ შეამჩნიე განა? ნახე რა გიყო! თქვა ეს ჰასტინგსმა და შემწვარ დედალს მთელი სამაროლე მაროლი გადააუარა.

III

წარმოდგენა განალებულია. მსახიობნი სცენასე არიან. მოქმედება სწარმოებს ერთ ციხე-დარბაზში, ომიანობის დროს. ბარბარეს, რომელიც ქუჩის მოძღვრალ ქალს თამაშობდა, მეტათ საჭირო წერილი უნდა მიეტანა ციხე-დარბაზის ჰატარონ სარდლისათვის. წერილის მიტანამდის — ჰატარა მოძღვრალ ქალს — ათასგვარი გაჭირვება უნდა გამოეყოლო. იგი უნდა ეოფილიყო დაქანცული და მშიერი. სარდალს, რომ-

ლის როლს ჭასტინგსი თამაშობდა, მადლობის ნიშნათ თავის სეულით უნდა მიეტანა საჭმელი ჰატარა ქალისათვის.

როდესაც ბაბო სცენასე გამოვიდა—იგი მართლა ისეთივე დასუსტებული და ფერ-მკრთალი იყო, როგორც ამას მისი როლი მოითხოვდა და მაუურებლებმა დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვეს ჰატარა მსახიობი. მაგრამ ბაბო განა თამაშობდა? არა, იგი მართლა იყო იმ მდგომარეობაში, რაც უნდა წარმოედგინა, მართლა იყო შიმშილისაგან დაღალულ დატანჯული და სულ იმას ფიქრობდა: —როდის იქნება ჩვენს მომიტანონ შემწვარი დედალი, რომ შიმშილი მოვიკლავო. ჭასტინგმა რომ დასვა და წინ დედალი დაუდგა — ბაბოს თავისი თავი სისმარში ეგონა — ნეტა ჰურიც მოეტანა ამ დალოცვილს! მაგრამ რა დროს ჰურია — გაიფიქრა ბაბომ და ჩაიდო დაბრწული დედლის ნატყერი ჰირში. მაგრამ დასეთ უბედურებას! ცარიელი მარლის გემოს მეტი ვერაფერი შეამჩნია! ისე დასწვა მარლმა ჰირი, რომ ვერც დაღეჭვა მოახერხა და ვერც გადაულაპავა. საცოდავ ბავშს ცრემლებით აემსო თვალები.

ჭასტინგსი არ მოელოდა თუ მის სუძრობას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა და სასტათ დარჩა — გამტერდა, მაგრამ ძალე მოვიდა გონს და დაუწყო ჰატარა მოძღერალ ქალს მისი თავ-გადასავადის გამოკითხვა. საწყალი ბაბო, სიმწარით ტუჩებს იკუნუტდა, ყოველ ღონეს სმარობდა, რომ არ ეტირა, მაგრამ ვერას განდა. გული უკვდებოდა, რომ თავ-

მაში უფუჭდებოდა, საეკედურს ეტეოდენ და გამოქცევაც და-
ანირა. საბედნიეროთ სალსი ამ დროს სხვა მოთამაშეს აქ-
ცევდა ეურადლებას და ბაბოს ტანჯვა ვერაზინ შეამჩნია. ბო-
ლოს ფარდაც შამოუშვეს.

ბაბომ, როდესაც გონს მოვიდა, სცენიდან გაქცევა და-
ანირა, მაგრამ ვიღამაც სელი წაავლო და შეახერა; ეს იყო
ჭასტინგსი.

— ვერაფერი თამაში მოგივიდათ — უთხრა ჭასტინგსმა.

— მე ისე მძიერი ვიყავი! ძლივს წაილაპარაკა ბაბომ.

ჭასტინგსი შეკრთა, სმა ველარ ამოიღო, ისე გააშეშა
ბავშვის გაჭირვებულმა მდგომარეობამ; გამსდარმა სასემ და
ჩავარდნილმა ლოყებმა თვალ-წინ დაუყენეს მას საში-
ნელი უბედურება — სიღარიბე და თვალები ცრემლებით
აქმსო.

— დღეს სადილი არ მიჭამია, ჩემი წილი ზატარა დებს
მიკეცი, მაგრამ საბრალოები მანაც ვერ გაძდნენ — სხაპა-
სხუპით გა ძასოდა ბაბო, რომელიც ცდილობდა თავი შე-
ეკავებინა, მაგრამ ამაოთ, შიმშილი ძალას ატანდა. — მე
იქედი მქონდა სცენასე ვივასძმებდი. გარწმუნებთ რომ ეს
სინარბე და გაუძამდრობა არ იყო; შიმშილი ძაწუსებდა,
ძარილმა სულ გონება დამიკარგა და ცრემლები ველარ შე-
ვიძავრე.

— საბრალო, საბრალო ბავში! ჩაილაპარაკა ჭასტინგს-
მა და თავსე სელი გადუსვა. ჭასტინგსი კიდევ უნდა გასუ-

ლიუო სცენასე; ბავშს სთხოვა თეატრის კარებთან მომიტადეო და გაშორდა.

წარმოდგენა გათავდა. ჭასტინგსმა ჩაისვა ბაბო ეტლში და მისი სასლისკენ გააქანა. გზაში ტკბილეულობის ერთ ძაღასიასთან შეახერა ეტლი და რაღაც შეუკვეთა. მანამ სასლში მივიდოდენ ჭასტინგმა დაწვრილებით გამოჰკითხა ჰატარა მსახიობს მისი ამბავი და დიდი კმაყოფილი იყო მისი თამამი სიტყვა-ზასუსით; ბაბო მოურიდებლათ და კარგის გამოთქმით უამბობდა, თუ რა იმედი ჰქონდა სცენასე თამაშობისა და ამ საღამოს რა სასოწარკვეფილებაში ჩავარდა.

ჭასტინგსი სიამოვნებით უკდებდა ყურს ბავშვის გონიერ ტიტინს და ცრემლი ერეოდა, როდესაც ბაბო დედის და დების გაჭირვებას უამბობდა.

— ხვალ ჩემთან შემოიარე, უთხრა ჭასტინგმა ბაბოს, როდესაც ეტლი მათ სადგომთან გაჩერდა მე ძრიელ სიამოვნოთ დამჩნა რომ გავიცანი.

ბაბო სრულად გამსწევებული აღიოდა ბნელ კიბესე, ამ დროს ფენის სმა მოესმა. გამოჩნდა თეთრ ტანისამოსიანი ბიჭი, რომელსაც ხელში კალათა ეჭირა, ტკბილეულობით და სასოვაკით სავსე.

— აქა დგას ჰატარა მსახიობი ქალი ბარბარე? იკითხა ბიჭმა.

— ეს მე ვარ.

— აქა ცხოვრობთ?

— დიას, მკვრამ მე რომ არაფერი შემომიკვეთნია, ეგრე არის?

— მე-კი ისე მიბძანეს, რომ აქ მომეტანა და.

ბაბო ძაღვს მისვდა ვისგანაც იყო ეს საჩუქარი და სწრაფათ აირბინა კიბეზე.


ადვილი წარმოსადგენია, რა მსიარულება შეუდგებოდათ ბაბოს, მის ღედას და ღებს იმ ღამეს.

მეორე დღეს ბაბო ჰესტინგსთან წავიდა, რომელმაც ივისრე ბაბოს სწავლა და ჯამაგირიც მოამატებინა თეატრში. ბაბოს შეუსრულდა სურვილი, ჰესტინგსის სელმძღვანელობით ის ძაღვს დიდი და შესანიშნავი მსახიობი შეიქმნა.

ბიძია.

(ფრანგულიდან)




 *
*

მ იდის ძეგლი წელიწადი,
 ქედ-მოხრილი მიწანჩაღებს,
 უკან აღარ იხედება,
 ვეღარ ახელს მოხუც თვალებს.



მეტის მეტი ჯაფისაგან
მიქანკულა, მილეულა.
თან რა მიაქვს შრომის ფასად?
გრძელი ჯოხი, გოგრის კულა!...

ხმელი ჯოხით მიიკვლევს გზას,
წყლიან გოგრით ისეღება პირს;

ლოცავს ქვეყნის სიკეთესა
და თან ზიდავს მის გასაჰირს.

სანამ იყო ყველასაგან
სიმართლესა თხოულობდა
და სწყველიდა — ვისუიაც-კი
სიბოროტეს პოულობდა.

ნორჩებისთვის ნატრულობდა
გულ-წრფელობას, გონებასა,
დიდებისთვის კარგ კაცობას,
ლარიბთათვის ფონებასა.

ქველმა წელმა ახალ წელსაც
გაღმოსცა ეს სანატრელი,
გზა დაუთმო, გაეცალა —
დაულოცა სარბიელი.

აგერ იგიც ნორჩი, ჩვილი,
პაწაწუნა, ახალგაზდა,
ქვეყნათ შებნა ლხენისათვის
გარიყრაჭზედ, დაიბადა.

შუბლ-ნათელი, სხივ-მოსილი,
გულ-კეთილი, მოცინარე;
ერთ ნაირად უმზერს ყველას,
როგორც მზე და როგორც მთვარე.

ყველასათვის კეთილი სურს
სამუდამოდ ახალ-წელსა,
აღმოსავლეთს შეჰფოფინებს
ეგებება სინათლესა.

შ. მღვიმელი.



ცხვარი და მწეპსი.

ი გ ა ვ ი



აფხულის სიკსეში მწეპსმა დასასვენებლათ ფარა ტეის ჰირს მირეკა. აქ, მუნის ჩრდილში, ცხვრები ლადად წამოწვენ მხარ-თემოზე და, ჩვეულებისამებრ, ცოხნით შეექცეოდენ.

ერთმა თოსლმა, რომელიც მწეპსის სიასლოვეს იწვა, უცებ ცოხნა შეწევიტა და მწეპსს გამოელაზარაგა:

— თუ ღმერთი გწამს, ერთი გამაგებინე: მე ჩემის ამხანაგებით, რომ წლითი — წლობამდე დღე და ღამ ტეე-მინდორში და მთა-ღრეში დაფხეტიალობთ, მესძის და ვიცი რისთვისაც: ერთ ალაგსე რომ შევხერდეთ, შიმშილით ამოვწულებით; მაგრამ შენ რაღა გრჯის, რომ განუწევეტლივ თან დაგვდეკ, დასვენება არ იცი, სიკსე არ გაგეგება და

სიცოცხლე, გემრიელ ლუკმას მოკლებული ხარ, ძილი არა გაქვს ტებილი, შენ ჯდომას მადლი არა აქვს, დგენარ კომბლით, ცოლ-შვილი მიგიტოვებია და ლამის ჩვენს ცქერაში, ზესეულად ამოგსდეს სულიო?

— ჩემი მოვალეობა თქვენი მოვლა-შენახვაა, — მიუგო მწუქმსა, — მე ვზრუნავ თქვენ სარჩო-საბადებელზე, სმა-ჭამაზე, სიმრთელეზე, გამრავლებაზე; მტერს გამოვრებთ და მეგობარს გმენთ, — ამასვე მეტი სხვა რაღა უნდა მრჯოდესო.

ამ დროს საიდანდაც უსაბო გამოჩნდა. მივიდა მწუქმსთან, ზატარა ხანს ემუსაიფა და საქმე იმით დაბოლოვდა, რომ ამ მოულოდნელმა სტუმარმა ორმოცი კაი გამოვჩეული ცხვარი დაირეკა ქალაქის კისისკენ. ჩვენი თოხლიც შიგ მოჭევა. ეს უკანასკნელი უსაბსაც გამოეხმაურა:

— მშობილო, ერთი მითხარ, ვინა ხარ, საით გვერეკები და რისთვისო?

უსაბმა მიუგო:

— ჩემი სელობა საქონლის სოცვანა, ქალაქში სოღცი გაძვირდა; იქ ჩავრეკავთ, დავსოცავთ, სოღცს გავეიდი და ფულს მოვიგებო.


თოხლმა თავში შემოიკრა, ბღავილი მორთო და ასე მოთქვამდა:

— ვაიმე, ვაიმე! დასე მწუქმისს ლაღაობამ რავგარბათ

აჩინა თავი: მისმა მოვლამ რა შეძამთხვია, მტრის მოგერებამ რა შეგობარი შექმინა და ჩემ გამრავლებასე სრუნვამ დღე რა ძაღე მომიხზო!

რასაკვირველია, უსაბბა თოხლს ეური არ ათხოვბ, ცხვარი საუხსბობი მირეკა და ორმოცი სული სულ ერთ დღეს გამოსაღმა წუთი სოფელს.

ალ. შირიანაშვილი.





ათინორი მკვლე.

(კუძღვნი შაღიკო ვანელიძეს).

ათინორი სჯება ეთი წლისა შეიქნება და ჯერ მკვლეთ ერთხელაც არ ეოფილა. მერე როგორ უნდა მკვლეობა! შობა-ახალწელიწადი როგორ მოახლოვდებოდა ისე, რომ ათინორი დედა ირინეს ეელსე არ ჩამოჰკიდებოდა მუდარებით: «დედიკო, შენს მუშუებს ვენაცვლები, წელს მაინც გამიშვი მკვლეთ!» — «შვილო, ჰატარა ხარ, შენი მკვლეობა აბა ვის გაუგონია! ცოტათი რო წამოიხდები, რატომ არა, გენაცვალოს დედა შენი!» ირინე ეოველთვის ასე აიმედონებდა ჰატარა ათინორს, როცა ეს უკანასკნელი მოსვენებას არ აძლევდა.

ახალი წლის წინა დღეა. ათინორი სინარულისგან ფეხსე არა სდგას. დედამ გამოუცხადა, სხალ მკვლეთ გაგსაწიო. მთელი დღე ათინორი სინარულით ჯარსსავით ფეხსე დატრიალებდა. ირინემ ბედნიერ დღისათვის მშვენიერი ინდოური ჩასაცვავა, ნასუქი დედლები ლამაზათ დაბ-



რწა, საშობოთ დაკლული ღორის თავი საჩქაროთ მოხარ-
მა და სამკვლეო დედო ჰური კერას ჩააკრა. ჰატარა ათი-
ნორი ეველაფერში ხელს ურეკდა, ეველაფრის გაკეთებას
ეტანებოდა, მაგრამ ირინეს თუ არ უძლიდა, ბევრს არას
ესმარებოდა.

საღამო სანძვკ მოატანა. ირინემ წმიდა სანთლები
ჩამოქნა, ლამაზათ გასუფთავებულ თაბახსე დედო ჰური მო-
ათავსა, დედო ჰურს ერთი ჯამი წმინდათ გაცხევილი ღო-
რის კაკალი შემოაფარა, თაბახის შუა-გულას მოხარბული
ღორის თავი წამოჭიმა, ღორის თავს უურში ვერცხლის ძვე-
ლა აბახინი ჩაუდო. სამკვლეო თაბახსე ირინემ ბლომით
მოათავსა ვაძლი, ბია, ბროწეული, კოზინაყი, ჩურჩხელე-
ბი, ტებლის-კვერი, უჭი, ჰარკი და აბრეშუმის ძაფი. თა-
ბახს შორი ახლოს ირინემ ოციოდე წმინდათ ჩამოქნილი
სანთელი შემოაკრა.

— აი, შვილო, სამკვლეო თაბახსე მსათა და აბა
შენ იცი, ბედნიერი იუას შენი ფესი! ალერსია-
ნათ მიეხმატკბილა დედა ირინე სკალინდელ თავის ჰა-
ტარა მკვლეს. ათინორი სინარულით ფესსე აღარ იდგა,
იგი მოუთმენლათ მოელოდა გათენებას, როცა თაბახით
ხელში კარებს მოადგებოდა და სინარულით დამძახებდა: «კა-
რი გაძიდეთო!»

ირინეს სახლ-კარი ბურთივით იყო წამოხსკუპებული
შაქრის თავის მსგავს კორაკსე. სოფლელები სწორეთ აი-

ტომბა ამბობდენ, ირინეს სახლს რომ ქარმა მძლავრათ შე-
მოუბეროს, ერთბაშად ძირს გრიალს მოიტანსო.

შუა-ღამე გადასულიყო. ირინეს სახლში ხმაურობა სრუ-
ლიად მიწუდა. მთელს ოჯახობას ტკბილათ ჩასძინებოდა.
სოფელიც საიდუმლო სიჩუქეს მოეცვა. არსაიდან ხმაურო-
ბა, არსაიდან ძახილი, მხოლოდ სოფლის განაპირა კუთ-
ხეებში, დრო-გამოშვებით, მოისმოდა ძაღლების მოღუნებუ-
ლი უეფა, რომელიც არღვევდა ამ საერთო შეუძრობას.
ათინორისაც ტკბილათ ეძინა, თუცა სვალინდელი ბედნიერი
დღე მიღძიაც მოსვენებას არ აძლევდა. ჩვენმა შეკვლემ
მიღში მეტათ საამური სისძარი ნახა: ვითომც კიდევაც გა-
თენებუდიყო. ათინორი სამეკვლეო თაბასით ხელში თავის
სახლის კარებს ადგია და სისარულით გაიმასნის: «კარი გა-
აღე!» — «რა მოგაქვს!» სახლიდან ესმაურება დედა ირინე.
— «ოქრო და ვერცხლი!» სისარულით უპასუხებს ათინო-
რი. — «კარი გააღე!» განაგრძობს მეორეთ ათინორი. — «რა
მოგაქვს!» ისევ ესმის ირინეს ხმა. — «თვალი და მარგალი-
ტი!» უპასუხებს ჩვენი შეკვლე. — «კარი გააღე!» მესამეი და
უკანასკნელათ ეკითხება ათინორი. — «რა მოგაქვს!» უკანასკ-
ნელათვე ესმაურება დედა ირინე, ათინორ შეკვლეს. — «კაც-
თა მშვიდობა!» უპასუხებს მოცემიძემ ზირისასით ათინო-
რი და ამ სიტყვებით ერთათ სახლში შემოდის. ათინორი
თაბასიდან იღებს ერთ მუჭა ღომის კაკალს, უვლის განა-
რებული სახლს და ღომის კაკლის ჰნეკით ამბობს: «ამღე-



ნი კაცთა მშვიდობა, ამდენი თვალი და მარგალიტი, ამდენი ცხენი და იარაღი, ამდენი ხარი და ძროხა, ამდენი ცხვარი და თხა, ამდენი ქათამი და ინდოური». ათინორი სიცილით და ხარხარით მიდის დედა ირინესთან, რომელიც თვითოეულს სამკვლევს ხელს ჭკიდებს სოლმე, შემდეგ მკვლე ამ რიგათ მიდის თავის ჰატარა მშებსა და დებთან. ათინორს სისხარულის აღმურა ასდის, იგი დღეს ნამდვილი მკვლეა, ნამდვილი მკვლე.

პირველმა თოფმა იჭექა სოფლათ და ათინორსაც გამოეღობა. პირველ თოფის დაჭექებას მოჰყვა მეორე, მესამე და ამ რიგათ მთელი სოფელი ასმარდა. — «აბა, შვილო, ახლა-კი დროა!» შეესმაურა დედა ირინე — თავის ჰატარა მკვლევს. ათინორი დაუეონებლივ ფეხსე წამოსტა, ტანთსაცმელი ძარდათ ჩაიკვა და თაბასს ხელი წამოაგლო.

— შვილო, წუხელის ღვინის ამოღება დამავიწყდა, შეარე მანდვე ესოში და სამკვლეოთ ერთი ხელადა ღვინო ამოიღე ქვევრიდან.

ათინორი თაბასით ხელში დაუეონებლივ ქვევრისაკენ გაეშურა. გსაში თაბასსე შემოკრული სანთლები გაჩაღდა. გაჩირადნებული თაბასი ქვევრის ახლო დასდგა და ღვინის ამოღების თავდარიკს შეუდგა. ათინორმა აავსო ღვინით ხელადა და ის იყო გსას უნდა გასდგომოდა, რომ უეცრივ დაინახა, მურისან ღორისთავისათვის პირი წაუგლია

და, რაც ძალი და ღონე აქვს, თავდაღმა მიაქანებს. ჩვენი ჰატარბ მკველე მკვირცხლათ გამოუდგა წუნაჲ მურიას, წინა მურიან და უკან ათინორი, მაგრამ არ იქნა და არა, მურიან არსეინათ მიქროლავს ქვემოთ. ათინორმა დაჰკრა «ვინ ხარ მამაცო!» და დიდის გაჭირვებით ძლივს-ღა წაავლიჯა ჰირიდან მურიას სახსალწლო ღორისთავი. დაღლილი და დაქანცული ათინორი უკანვე დაბრუნდა თაბანისაჲენ. გორაკის შუა წელი ჯერ კიდევ არ აველო, რომ ჩვენმა ჰატარბ მკველემ, გულგახეთქილმა დაინახა შემოდან ბორბალივით მოტრიალუ საძველუო დედო ჰური. თურმე ნუ იტყვი, როცა ჩვენი ათინორი მურიას ღორისთავის წასაგლეჯათ თავ-დავიწეებით ქვემოთ მისდევდა, ირინეს ნებიერ ბურჯაკს დინგი უკრავს საძველუო თაბანისათვის და სახსალწლო დედო ჰური თავდაღმა დაუგორებია. დედო ჰური ელვის სისწრაფით მოტრიალებს ქვემოთ, და ესაა უნდა დაეჯახოს ჩვენს ჰატარბ მკველეს. გულ-გახეთქილი ათინორი, თუძკ ბევრს ეცადა კვერდი აქცია, მაგრამ ამათ, ბორბალივით მოტრიალუ დედო ჰური ერთი ღა-სათიანათ დაეჯახა ჩვენს მკველეს, უირამღა გადავიდა, და ისევ სისწრაფით დაეშო ქვემოთ. სანამ დედო ჰურმა გორაკის ძირამდის გრიადლი არ მოიტანა, ათინორი ვერას განდა. მხოლოთ, შემდეგ ჩვენმა ახალწლის მკველემ, მოაგროვა დედო ჰურის ნატყსები და რის ვაი-ვაგლახით, თაბანით ხელში, გაუდგა სახლისაჲენ.

ათინორს ჯავრისაგან სული ზირში ეგუბება, თვალები-
 დან ცრემლები ღაზაღუპით ჩამოდის.


— კარი გააღე! თვალებ-ცრემლიანი წაილულლუდა
 ათინორმა.

— რა მოგაქვს! სისარულით შეესმაურა დედა ჰატარა
 მკვლეს.

— ჯანდაბა და აოსრება! ცრემლების ღაზაღუპით უზა-
 სუნა ათინორმა და მორთო სმა-მაღლათ ღრიალი.

დედა ირინე მაშინვე მიხვდა, თუ რა გაჭირვება აღ-
 რიალებდა ათინორს, დაუფონებლივ მიიჭრა კარებთან, ჩა-
 მართვა საძეკვლეო თაბახი და ჩვეულებრივი მკვლეო-
 ბა გაუწია ამ ბედნიერ დღეს თავის ოჯახს. შემდეგ
 ირინე მოუბრუნდა თავის ჰატარა ათინორს, გულში მაგრათ
 ჩაიკრა და ალერსიანათ ეურძი ჩასჩურჩულა: «ჩემს ჰატარა
 მკვლეს, ჩემს ათინორს ვენაცვალე!» ათინორი კარგათ
 გრძნობდა ამ სიტყვების მნიშვნელობას და კიდევაც ამიტომ
 დარცხვენილი შემოთ თავს არ იღებდა.

ა. ყუმისთაველი.



როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება.

(მოთხრ. ზოოლოგიის პროფეს. ბ. ნ. ბოგდანოვის)



(მოხუცი თაკვის ნახაზი).

ოფელში სის ქნობის ერთ ჰატარა ოთახში მაგიდან მოჯდომოდა კარგა ხანში შესული კაცი. მაგიდასე ბლომთ ელავა სსვა-და-სსვა ნიუთები: დანები, შინის თეუშები, მიკროსკოპი, შუშები და ჰინცუტები. კაცი ისე იყო გართული თავის საქმით, რომ გვერდებოდათ იმისთვის ქვეყნიერება აღარ არსებობსო. მერე რა საქმეს გაეტაცნა იგი? გაჭრილ და გამოწეული თაკვს გუდმოდგინეთ სწორეკა და შინჯავდა. მარტო იმისი უურადლება არ მიეჭურო ამ საქმეს. იმავე მაგიდას მოჯდომოდა ჰატარა ბიჭი და ყველა ამას გაოცოცებით თვალ-ყურს აღევნებდა. იმის ქორება, თეთრ-წითლათ გადავივებულ სსხეს ეტუობოდა, რომ მეცნიერის საქმეს მისი გულისურეკ მიესიღნა. ნეტა რა არის, რათა და რისთვის? აი კითხვები, რომლებიც აღელვებდენ ბავშსს. მან რამდენჯერმე გააღო ჰირი, უნდოდა ეკითხნა რამ, მაგრამ თა-

ვი შეიოკა და სული განაბა; ემინოდა არ დაუშალო და არა გაუფუქდეს-რაო. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:



— ძია, ამბობენ, თავი წაბილწულიათ, შენ-კი სელებს ისწორი.

— რაც სისულელე თქვან, განა უნდა დაიჯერო? რითია ძაკვი წაბილწული? რითია იგი შენსეან უველა სსკებსე უწმინდური? თავ-აუღებლივ უბასუსა მომუშავე.

ბაკშს შერცხვა, გაწითლდა და ჰასუსი ვეღარ

მოხერხებინა.

— გადიამ მიასრა, დაიწყო ერთი წამის შემდეგ ისევ ბავშვა — თავგები წაბილწულები არიან და სელში იმათი აღება არ ვარგათ; სარალის მეტი აღამიანისთვის არაფერი მოაქვთო. გუშინაც გაუფუქებინათ თავგებს შენი ძაღალ-ეფლიანი წაღები. იმ კვირას კიდევ ჩაისე ნაღები მოიტანეს და ჭურჭლიდან რომ გადმოსსეს, ძირში დაშხვალი თავი ნახეს, კინაღამ უველას გული აერიათ. აბა რის მახინიათ თავვი, რომელიც უველაფერს ასდენს და უსიამოვნობის მეტი არა მოაქვს-რა? დათავა ბავშვა თავ-მომწონეთ თავისი

ნათქვამი და ვითომ თავი გაიმართლა ამ საკვირველი ძიას წინაშე.

მართლაც და ეს ძია სხვა ნაცნობებს სრულიად არა ჰგავდა. თითქმის ეოველ ცისმარია დღე, სისხამ დილასე, გადიოდა სახლიდან თოფით ხელში, თანაც ძაღლს წაიუვანდა და მთელ დღეს ვინ იცის სად არ დამრწოდა. სახლში დაბრუნებისას ცოტას-კი შეისვენებდა და შემდეგ სულ ერთ-თავათ თან მოუვანილ ფრინველებსა, მხეცებსა და მწერებს შინჯავდა და ჩხრეკდა. ზოგს ტყავს ამრობდა და ნიძნებს აბამდა, რადაცა უცნაურის წარწერებით; ზოგს დანითა და ძაგრატლით ჭრიდა, ან სხვა-და-სხვა ასოს სამართებლით აქა-იქ წათლიდა, შუშებში ჩადებდა და მიკროსკოპით (გამადიდებელი შუშით) დიდხანს შინჯავდა, ხან კიდევ რადაცა გაუგებარ სურათებს სატავდა.

ასე ატარებდა ძია მთელ თავის დროს. შინაურები სადილის დროს თუ ჩასავდენ იძას, ისიც იშკიბათაღ. ეკვლა უცნაურ კაცათა სთვლიდა. ხშირათ მოურიდებლათ ამბობდენ: თითქოს ჭკვიანი კაცია და საქმის ძაგიერ-კი რადაცა სისულელეებს გაჭეოლია, ზეპელებსე აცდენს დროსაო.

ძიამ თავი დაანება საქმეს, წელში გაიძალა, შესედა ბავშს და ჰკითხა:

— კარგი, ვთქვათ, შენ ძართალი ხარ, თავი არავისთვის, არც ჩემთვის და არც შენთვის, საჭირო არ არის.

მაგრამ ვისთვის რაღა საჭირონი ვართ თვით მე, ან შენ? რა სარგებლობა აქვს ჩვენგან ქვეყანას?

ბავში განუძებული იყო.

— არც შენ, განაგრძო ძიამ, არც მე, არც თავი და არც სხვა ცხოველი,— არავინ არ არის საჭირო ქვეყნიერებისთვის. ჩვენამდისაც ბრუნავდა მიწა, ჩვენს შემდეგაც იბრუნებს, დღეს მუდამ ღამე მოჰყვება. არც მე და შენ, არც თავი, არც ბუხი, არც ბალახი, ერთის სიტყვით არავინ და არაფერი, განგებ, არავისი საჭიროებისათვის არ არის შექმნილი. ჩვენ ეველანი და ეოველივე¹ სულიერი, ნაყოფი ვართ ქვეყნიერების ცხოვრებისა, ნივთიერების მოძრაობისა, რომელიც შეუქმნია მზის სითბოსა და სინათლეს. ეველა არსება, რომლებსაც ჰხედავ, თავის თავისთვის ცოცხლობს. ცოცხლობს იმიტომ, რომ სიცოცხლე სწეუნიან. სიცოცხლეს კი მარტო იმას შეუძლიან, ვისი სხეულიც შეწეობილ-შეჩეული, შეთვისებულ-შეგუებულია სიცოცხლის ამა თუ იმ ზირობებთან. ეველა უმსგავსი, მახინჯი,² ეველა სუსტი და უძლური ისპობა და ნაწილ-ნაწილათ იძლება.³ უზირველესი ზირობა ეოველი სხეულის სიცოცხლისა — ჭამის საჭიროება, კვება, რადგან თვით სიცოცხლის ზროცესი ნივთიერებათა შეუწერებელ გაცვლა-გამოცვლას წარმოადგენს. ევაჯილს, ქილით რომ გიდგია ფანჯარასე,⁴ თუ დიდხანს წყალი არ დაუსხი, ფოთლები დაუტყნება და მერე, თუ კი-

დევ დიდხანს დატოვებ უწელოთ, ევაგილი სრულიად გას-
 მება, მოკვდება.

აბა სულ ნუ გაახშობ და დამტყნარ ევაგილს წვალი და-
 უსნი, რამდენისაძე ხნის შემდეგ ფოთლები ისევ გაიძლე-
 ბიან და ამწვანდებიან.

რათა ხდება ესე? აი რატომ:

ქილაში უწელოთ მიწა გახმა და მტყენარეს მოესზო ეო-
 ველივე ღონისძიება კვებისა, სასრდლოობისა. ცოტა ხანს იმ
 წვენით იღვამდა სულის, რომელიც თითონა ჰქონდა. გამო-
 ელია ის, მტყენარე დაიშა და შიმშილით სიკვდილი არ
 ასუცდებოდა, რომ შენ თავის დროსე წვალი არ დაგესხა.
 წვალმა გახსნა ის ძარილები, რომლებიც მიწაში იყო. მა-
 რილების ხსნილი შემოადგა ფესვებს. ამათ ხარბათ დაუწ-
 ვეს წოვნა. წვენმა ისევ დაიწყო დენა მტყენარის ქსოვილებ-
 ში. მტყენარემ მიიღო საკვები და გამოცოცხლდა.

აგრეთვე შენთვის, თავისთვის და ეოველივე სხვა ქმნი-
 ლებისთვის, ეოვლის უპირველესათ ჭამა-სმა, კვებაა საჭი-
 რო. ამიტომაც ეოველი ცოცხალი არსება დიდის ენერ-
 გით შესდგომია საჭმლის შოვნას და იღებს იქ, საცა-კი
 აღება შეუძლიან. ცხადია ვინც უფრო ადვილათ შოვობს
 საჭმელს, იგი უფრო კარგათაც ცხოვრობს, უფრო მხიარუ-
 ლია, ღონეც მეტი აქვს. აი, მაგალითათ, შენ, საჭმელი
 სრულიად უშრომლათ მოგდის, თავის დღეში შიმშილ-წეურ-
 ვილი არ გამოგიცდია; იმიტომაც მუდამ მხიარული ხარ

და არაფერზე სრუნავ. უეჭველია ფიქრათაც არ მოგსვლია დაჭკითხებოდი შენ თავს: რისთვისა ვარ ქვეყნათ, ვისთვის რა გამოსადეგარი ვარო? ამისთანა ფიქრი კიდევაც რომ მოგსვლოდა, შენ, როგორც ბუნებით ეგონისტი, იტყვდი: — მამ როგორ იქნება, სიცოცხლე მინდა იმიტომ, რომ სიცოცხლე ტკბილია და იმასაც მოიგონებდი, რომ ვისთვის-მე საჭიროცა ხარ: აი, მაგალითად გადისათვის, რომელსაც გავიყვებით უუვარსაზრ. მაგრამ რათა გგონია, რომ თავვიც ვერ არ ფიქრობს? იმასაც შენსავით სიცოცხლე სწუერიან. ჭამა იმასაც, შენსე ძლიერ თუ არა, ნაკლებ არ უნდა. ხოლო იმას არაფერ უმსაღებს სადილ-ვანშამს, როგორც შენ. იგი, რაც შესვდება ღრღნის; არა კითხულობს ვისია, არც წახდენას დაეძებს, ოღონდ გაძღეს. შენც რომ მოგაძმიონ სწორეთ თავვივით ისარგებლებ საჭმლით, საცა მოგხვდება და იმის კითხვას არ გამოუდგები, თუ ვისია იგი. იქნება მოიპარო კიდევ, ან ძალითაც მოიტაცო.

მამ რატან ერჩით თავუნას? ისიც სომ კანონიერათ ცოცხლობს და სწუერიან სიცოცხლე. იქნება სოკჯერ გახარალებთ, მაგრამ განა თქვენ თათონ-კი არ უშლით ცხოვრებას, არ სდევნით? რომ იცოდე რას ამბობს თავვი შენსე თავის ოჯახში, დარწმუნდებოდი რომ ის ძტრათ და მანეთ გთვლის. წაზილწულათ მიანჩისარ თუ არა, მაგისი არ ვიცო.

აი შეხედე თავკის კულს, რომელიც ისე სძვერდა, რო-

გორც შენი გული სძკერს ასლას; აი კუჭი, ნაწლავები, თვალები, ყურები, ტვინი, ერთი სიტყვით, ეველას ასოები, რომლებსაც შენშიაც ვნახავდით, რომ გაგვეჭერ. შეადარე თავის ორგანოები კაცის ორგანოების სურათებს. სომ ხედავ, რომ ეველას ის ასო, რომელიც თავს აქვს, ჩვენცა გვაქვს, სოლო განსხვავებული. მამ თავსაც შესძლებია სიცოცხლე და ფიქრი, სოლო იმისი სიცოცხლე სხვანაირათ მიმდინარეობს და მისი ფიქრი ბევრში არა ჭკავს შენს ფიქრს. თუ გინდა ჩემი უბის წიგნიდან წავიკითხამ თავის ამბავს, რომელსაც იგი თავის ჰატარა თავუნებს მოუთხრობდა, და რომელიც მე ტახტზე წოლის დროს გავიგონე და ჩავეწერე.

ბავშს გაეცინა.

— მატეუებ მია, ვის გაუგონია თავის ლაპარაკი, ან როგორ იქნება იმათი ლაპარაკის გაგება?

— ვინ გითხრა, თავები არა ლაპარაკობენო? იქნება ევეც გადიამ გითხრა? იმისი არ იყუეს, თავები წაბილწულები არიან და ადამიანის გარდა, ეველას ცხოველებს სულის მაგიერ ორთქლი უდგიათო. სომ შენი თვალითა ნახე, რომ თავს ტვინი, თვალები, ყურები, ენა ჭქონია, იმათი წრიპინიც არა ერთხელ გაგიგონია. შენ კი მანც არა გჯერა, რომ ისინიც ერთმანეთში ლაპარაკობენ და ერთმანეთის გაგებაც შეუძლიათ. აბა შესედე ბაღში, ბილიცსე, რომ ბელურები დამსხდარან, როგორ დახტინან, ქვიძასა თხრიან და უხრუნველათ ჭიკჭიკობენ. ჭხედავ აიმ ბებერ ბელურას, ბუნქის თავსე რომ სის? ის არც ჭიკჭიკობს, არც ქვიძას

თხრის, ერთ ადგილას ჩუმათ ზის და აქეთ-იქით იუფრება. ეგ დარაჯია დანარჩენებისა. თუ მოჭკრბ თვალი ქორს ან სხვა მტაცებელ ფრინველს — დარაჯი ბელურბ მამინვე შესტეველებს: — ჭრრრ, ჭრრრიო და ეველბ ბელურბი დანებებენ თავს ქვიძაში სტუნვას და ბანაობას, მიჩუძდებიან და სჩქაროთ ბუჩქებში მიიძალებიან. დარაჯიც ბუჩქში ჩაეშეება. ჩუჩუნსაც-კი ველარ გაიგონებ, ისე გაიტურნებიან. ბიჭოს, გაჭკვირდები, იმათ სომ ქორი არ დაუნახავთ, რამ დაფეთათო. ცხადია, დარაჯის ევირილზე მიხვდენ, რომ საფთხე მოელოდათ.

ან თუნდა ცხენებს, ძაღლებს, კატებს, ქათმებს და ეველბ იმ ცხოველებს, რომლებსაც შენ ეოველ დღე სედავ, გგონია არ ესმით ერთმანეთის სმა?

გამოდის, რომ შენი გადია სცდება. იმასე, რასედაც ახლა გელაზარაკებოდი. მაგეებისთვის ავალ-ეური არ უღვენებია. ახლა მგონი დარწმუნდი, რომ თავკებიც ერთმანეთში ილაზარაკებენ. რაც შეესება იმას, მე როგორ დაეუგდე ეური იმათ ლაზარაკს, ან როგორ გავიგე იმათი ნალაზარაკევი, ეგ ჩემი სხადუმლოა. თუმცა; თუ მოისურვებ, მაგასაც გაიგებ — სოლო სჩქირობ დაკვირვება და შესწავლა ეველბ იმისა, რაც შენ გარშემო ხდება. ცხოველთა სამეფოში. ამ სიტყვებზე მია წამოდგა, ჩადო სჩირტ-ჩასსმულ შუძის ქილამში გამოწველილი თავვი, მაგიდიდან გამოილოუბის წიგნი და დივანსე წამოწვა.

კოტე ელიოზიშვილი.

(შემდეგი იქნება)



აშული მიიჩნო.

გაუნული მაძლარიაო“, უთქვამს ქართველს. დილაღ:— ტყე ხილით არის საეყ და მინდორი ქირნახულით. მგლიდან დაწყობილი, უკანასკნელ სირამდე, ყველას მუცელი აქვს გამაძლარი.

— მგელიც ხო ხილსა და ქირნახულს არა სკვამს,—მას რაღა ქირი აძლობსო, დაეკიოზებოდენ ხოლმე გოგოები ბეზიჩემსა.

— საქმე იმაშა, შეილოგო, აუხსნიდა ბებჩემი, რომ, როგორც ბალახი და მიწის მოსაყალია ბეერი, ისე ფრინველი და ნადირიც მაშინ ნაშენობს: ფრინველები ბარტყებსა სჩევენ, შვლები და ირმები ნუკრებსა ზრდიან, გარეული ღორი—გოკებსა, ტურა და მელია ლეკვებსა, კურდღელი ბაჭიასა და მრავალი სხვა. ახლა ზედ თხა და ცხვარი დაურთე, მთასა და ბარში მოდებული. ყველა ეს ახალი თაობა გამოუცდელია, ცხოვრების ქარ-



აშული მიმინო

ცეცხლში გამოუფლელი, მგელიც სარგებლობს იმათი გამოუცდელიობით და მუდამ მაძლარი მუცლით დაიარებაო.

აღბათ მართალი თუ იყო ბებიაჩემის სიტყვები, რომ მთელს ზაფხულს მიმინოც არსადა ჩანდა, რომელღმედაც ახლა მე უნდა გამბოთ. თუმცა ხან-და-ხან სოუველს ნიაე-ქარივით გადუქროლებდა, მაშინაც მერცხლები დასცემდენ ხოლმე ყიფინასა.

მაგრამ მსუქანი ზაფხული გაღნა და გაიპარა. მომეტებული ნაწილი ფრინველებისა თბილი ქვეყნების გზას გაუდგა და ტყე და მინდორიც დაუურსდა. ბევრი აღარეინ დარჩა ბინადარი. ისინიც, როცა ცივმა შემოდგომის ქარმა უფოთლო ხის წვერებში სტვენა და ბლუილი იწყო, სულ აქეთ-იქით მიიმაღ-მოიმაღენ. რანიც სოფლათ იყენ, საძძლებსა და ღობის ძირებს შეეფარენ, ტყეში მყოფთ კდე ფოთლიანი ზეარეს წიფელა მოძებნეს, ან ხის ღრუებსა და ფესვებში შეძებნენ.

მოჰშივდა მიმინოსაც ახლა-კი, მოშივდა, მაგრამ ათასში ერთხელ კიდევ ჩაიგემრიელებდა ხოლმე პირსა.

კარგათ იცნობდენ ჩიტები ამ მტაცებელსა. ერთი იმისი მხრის ტყლაშუნი, ეღეთმეღეთსა ჰგერიდა ამ საწყლებს. რომელიც-კი თვალს მოჰკრავდა, მაშინვე გაბმული წიწინით სხეებსაც ატყობინებდა: — ჰა, ფრთხილათ იყავით, სულთამხუთავი მოდისო. და მაშინ უნდა გენახათ საცოდავი ჩატუნები, როგორ შემოდგმის ფოთლებივით ხეებიდან ძირსა ცვიოდენ და მიწაზე ეგებოდენ, ღობეებში ძვრებოდენ და ჩირვებებსა და ეკალ-უკალს ეფარებოდენ. ბრალი იმისი, ენც ჰერში შერჩებოდა და ვერ მოასწრებდა ძირს ჩამოშვებას, — აუბოქავი არ გადურჩებოდა. ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ისხდენ ხოლმე გარინდებულები, სანამ გაჰბედადენ და თავს გამოჰყოფდენ გართათა.

რაც დრო გადიოდა, მიმინოს საჭმელი თან-და-თან აკლდებოდა. ზოგი თვითონ დაჭამა, ბრიყვი გულადები და უმწეო ლაჩრები, ზო-

გიც სხეებმა. ბევრმაც ჭკუა ისწაელა და თვალში აღარ ეჩხირებოდენ მიმინოსა.

მთელი დღე დაუმენდილი დალაწლანებდა მინდორში, ჭალებში და სოფლათ, სადაც-კი რამე ეგულებოდა, ან ოდესმე ნისკარტი გაეისხლიანებია.

— ჰაი და ჩიტებო! ჩაიკრავდა ხოლმე გაბრაზებით მკერდში მუშტსა, — ჭკუა ისწაელეთ რალა, თქვენცა! სულ დროს ბრალია! ახლა კაცი შიმშილით მოკედება. ყველა მცნობს, ყველა ჭკუაზე მოვიდა. ჩემი მტაცებლობით ამ გაქნილებთან ველარას გაგნდები, თუ არაფერი მოვიგონე და სხვა არა ვილონე რა.

ასე ფიქრობდა მიმინო და ერთ ტყემალზე იჯდა, ვენახის კუნჭულში რო იღვა. თითონაც ჩიტებისგან ესწაელა სიფთხილე. ისეთ ადგილას იჯდა, სადაც საფანტი ადვილათ ვერ მიუდგებოდა, თორემ ბევრი გულ-გადალეული მონადირე დაეხეტებოდა და დღეს გაუმწარებდენ.

იჯდა და ფიქრობდა. იმისი ფიქრი არც მთას იქით იყო და არც ცის რაიმე საიღუმლოებას შაეპყრო: — უნდა ეჭამო, ეჭამო! ეგ წერილი ფრთოსანნი ღმერთს ჩემს საქმელათ გაუჩენია და დახე, მავათ-კი ლამის მასხარათ ამიგდონ! უყურეთ იმ ლობემძვრალას, ჩემს პირდაპირ კვრინჩხებში რო ხტის და ბოლოს აქნევს. ან აი, ის მამალი ბელურა, ლობეში რო შემძვრალა და ისე არხეინათ იწილება, ეითომ მე აქ არც-კი ვიყო! დროების ბრალი არ არის, მაშ რა ჯანაბა? შფოთავედა მიმინო, და ჩიტები-კი, თითქო უნდა გული გაუხეთქონო, ლობეებში მხიარულათ წიწინებდენ და ჭივილი გაჰქონდათ. ზოგი ერთმანეთს შელაზღანდარებდა და მიმინოზე თვალით ანიშნებდა.

— რაო, ბიძია, ჩიჩია ხომ არ მოგიწინა; მგონი კაი ხანია, რაცა მარხულობ, პირი აღარ გაგისწილებია. რომ ვინმემ განახოს, ბერი ეგონები, სულზე დამდგარი.

მიმინო-კი ფიქრობდა, იმისი ფიქრი მძიმე და სასტიკი იყო.

კვიანი და საშიშიც იმიტომ განლდათ. რა უშაედა, რომ თაე-ცა-რიელი ყოფილიყო. მარტო მოსისხლოებ-თ იმდენს ზარალს ვერ მოუტანდა ჩიტებსა, მაგრამ კვიანი იყო და!

ფიქრობდა და ხეები-კი იცრცეებოდა, მინდვრები ტიტელდებოდა. წერილი ფრთოსნები სოფლებში იყრიდნ თაეს საზრდოს გულისათვის. სიცივე თანდათან მატულობდა. ჩიტებიც აღრე იბუდებდნ და გვიან ძეგებოდნ თაეის სამალაეებიდან. რამდენჯერ მინახეს, აღრე დილით და გვიან ბინდზე, გაცოფებით მფრინაეი მიმინო. იქნება ჩემზე უარესად მშიერი შემეფეთოს ეინმე და შეეკაოვო.

ზამთარი ღგებოდა. თანდათან თოვლსა სდებდა და მიწის შაეს ზედა პირს ზედ ეფარებოდა. სოფელში ბანები და კარეები-ლა იყო მშრალი. ლობებზე თუ თოვლის ბარდანი ილა, ფჩხებ ქვეშაც მოიბოეებოდა მშრალი ადგილები. სანაგეეებზე დედაკაცებს ნაგაეი გაჰქონდათ, ნეხეებზე ნაუაესა ჰყრიდნ და გზებზე სოფლის ბიჭები ბზეს აწეეედნ და შიგ მახეს აგებდნ, ჩიტების დასაჭერათ. ჩიტების საყვარელი ბინაც ეს იყო; აქ ეძებდნ საზრდოს და მთელ დღე და ღამეს ერთ-ორ მარცვალსა სჯერდებოდნ, თუ-კი ან იმას იბოეიდნ. მიმინოსაც აქეთ უყვარდა ჩამოვლა. აქედან ადილოთ გაიგდებდა წინ ჩიტს და აბოჭედა, მაგრამ ჩიტებიც ხო გიყები არ იყენ, — იმათაც კარგათ იცოდნ მიმინოს მოსასელელი გეზი და თვალი ფრთხილათ ეჭირათ, რომ გაჭირების დროს უცებ მოესწროთ საბძლებ ლობებში შეძრომა. ამიტომაც იყო, რომ მიმინო ხშირათ ხელცარიელი დარჩებოდა ხოლმე და უფახშმო მუცელ-ცარიელი თეითონაც უნდა თბილ ალაგას შემძვრალიყო სადმე. ტყეში ხომ არ გამოიღეეა ფოთლიანი ხე და ზოგს ახლობამდე ასხია ხოლმე ისეე. მაგალითათ ნაკაფ მუხას და წიფელას. ეს ხეები ზამთარში მშეენიერი თაე-შესაფარია ფრინეელებისათვის. მიმინოც იქით გააშურებდა. მე ეცი ცხენი არ დასდგომოდა.

ერთ სუსხიან დილას მშიერი და შეცენული მიმინო მოწყენით იჯდა ერთ პანტაზე თავ-ჩაქანდრული და ფიქრობდა, ან უკეთა ეთქვათ, ოცნებობდა თბილს საქველზე, რადგან რამდენიმე დღე იყო ნაყრი არ ენახა.

— ერიპა, რას დამარებულხარ, მეჩითიავ? რაო, ხომ არ დაქკეიანდენ ის ბრიყუები, ან ხომ არ შეათხელე და ნანადირევს ევლარა შოულობ? ხომ არ მოგშვიდა? თვალები როგორღაც შეგმღვრევი, კარგს არას მოასწავებს ეკ შენი გარინდება. შენი ცოლდა არა მაქეს მეც შემკამ, რა ხელში ჩაგივარდე, არა? კარგი მოგეცეს, კი გემოს მე ჩამატან. ქონი-კი არ ჩაგადნეს ყელში! თუ შენ, ჩიტების სულთამხუთავს, ლუკმა გენატრება, მე რაღა ვქნა ჯიხილამ, მე შენი მებუთელი არც ტანი მაქეს და არც კლანჭები, მე რა გამასუქებს. ათასში ერთხელ თუ გავაბრიყვებ ვისმე და გამოვწიწკნი, თორემ ხელდახელ ხომ ვერ დავიჭერ ვერავისა. აბა შენვე ბრძანე, მე ვის დევწევი ჩემი მოწყეტილი წელით, მე ვიცო შენსავეთ არ გამოუქმულელო და ხელდახელ არ ავიტაცო პაქში. ან რო გამოვიონ ჩიტებმა, რომ მეც იმათა ვქამ, (თვითონ ხო მეც ჩიტი ვარ) მგონი ხელდახელ გამწიწკნონ. აბა მე რა ყურადღებას მომაქცევენ, ჩემი ტანი შეაშინებს, თუ ზავით და რინი. მე სრულგებით სხვა ხერხით ვიქცევი. რომელ ჩიტსაც შევატყობ რა საჩემოა, მოვუმიზვებ რასმეს და აურზაურს აუტუტებ, ისიც ხელს შემ მიბრუნებს, გავეინდება ჩხუბი. ამაოზაში აპოვიდებ ქვეშ და წაეღარჩობ. მერე რაკი მოკვდება, ჩემს ნადავლს ვინ-ღა შემეცილებდა, დეჯდები სადმე მოფარებით და იქ გაახლები. აბა ხედავ, მეც-კი მშიერი არა ვკვდები და გემრიელ ჩიტის ხორცს მეც მივირთმევე ხოლმე. ეს სულ ამ ჩემი დიდი თავის ბრალია. იქნება შენ ორი შესჭამო და კი არა გაგინდეს-რა, მე-კი ერთი ჩიტი თავსა მდის. რაო, რაკი ღონიერი და შენსავეთ მარდი არა ვარ, შიმშილითა ვკვდები? ახლანდელ დროში ჭკუაა, ძმაო, საქმე ჭკუა.

მიმინომ შეიბერტყა, მსრები აიკრიფა, თითქო გაფრენას აპი-

რობსო და ზარმაცათ შეხედა პატარა ჭრელ ჩიტსა, რომელიც პირ-დაპირ ტყემალზე იჯდა. ტოროლას ოდენა იქნებოდა, თეთრი ზურ-გი და მუცელი ჰქონდა. ცოტა ზომაზე დიდი თავი და წერილი და გრძელი კლანჭები, ბოროტი და სისხლის მსმელი თვალეები, ძალზე მოკაუჭებული ნისკარტი, ცხად ჰყოფდენ, რომ ეს ვაჭბატონი სხვა ჩიტებივით არ იყო და მტაცებელსა ჰგავდა.

— ესეც ჩიტებსა სჭამს! გაიფიქრა მიმინომ, კი საქმეა შენმა მზემ, ჩვენ რაღა ექნათ, ეს მასხარაც მტაცებლობს, ჰა!?

ჯიხოლა მოუსვენრათ იჯდა და თვალებს აქეთიქით აცეცებ-და, თან მიმინოსი ეშინოდა, მიმინოს კლანჭებთან ეს ეგრას გაჰყიდდა. მართალია ლურჯი ხორცი ჰქონდა, მაგარი და დღარძი, მაგრამ მშინ-ერი მიმინო ბევრს არას დაკიდევდა, ოღონდ თბილი სისხლი ჰქო-ნოდა.

— იცი, დაიწყო ისევ ჯიხოლამ, ჩემგან ჰკუთ არ გესწაელებ, ჩემო მეჩიტავე, მაგრამ მაინც არას ეაკეთებთ და ცოტა ხანს ვილაპა-რაკოთ.

ახლა ისეთი დროა, რომ ყველამ თავისი თავის ყადრი ისწა-ელო, ის დრო წაფიდა, როცა უგონო ნიბლია ფიქრობდა, მიმინოს ლუკმა ვარ, იმან უნდა შემჭამოსო. მაშინ თავისი თავი ჩვენს საქ-მელათ გაჩენილი ეგონათ და არაგის არ უკვირდა, თუ მიმინო, ალა-ლი და თვითონ მეც უსამართლოთ ვიქცეოდით. ახლა-კი მტაცებ-ლებს გვიძახიან და სისხლის მსმელებსა. თავის სიცოცხლეს და პი-რადობას უფროთხილდებიან და ჩვენ აღარაფრათ გვაგდებენ.

მოდო და ისევ ჩემს ჰკუთას დაუჯერე, ერთს გეტყვი, ისე მოიქეც და თუ შენ მშინერი დარჩე, პირველათ მე შემჭამე მაშინ. ეს კია, ბევრი ჰკვიანია და ჩვენს დაწყობილობას ეჭვის თვალთ შეხედდენ, არ მოგვეკარებიან, მაგრამ ვინც გაბრიყვდება, ისინიც გვეყოფა ჩე-ნა. სანამ სულელები დაჰკვიანდებიან, ზაფხულიც მოვა და მაშინ სხვა ბრიყვები დაჩიკებიან, მერე რაღა გვაქვს საზრუნავი, როცა მინ-დორ-ველი სხვა-და-სხვა ჰანგზე ახმაურდება.

აი მზეწვია არის ძალიან ეშმაკი, თითონ ხომ ათასნაირათ მღერის და ხან წვიმას შეჭარბის, ხან მზესა, ზაფხულის მოახლოებება ყველაზე უწინ ეგ იგებს და დაყურსებულ ჩიტებს გულს უნაიარდებს, სიცოცხლეს უღვიძებს. ეგ მზეწვია იყო, ფრანგელთ ბუ რო ხელმწიფეთ ამოირჩიეს. დიდი თავი აქვს, ჭკვიანი იქნებოა. აბა ჭკუას მაშინაც-კი იმდენი გასაველი ჭკონია! თუმცა დასვეს ტახტზე და ყველა ულოცავედა თურმე, მაგრამ მზეწვია ჯერ არ მოსულყო. ის მთაში იყო მახარობლათ წასული,—გაზაფხულის მოსვლას და ჩირთის*) გაშლას თურმე ულოცავედა. აბა ეინ რათ ჩააგდებდა იმ პაწაწას, ეინ მოიკითხავედა, ეინ დაეკითხებოდა, როცა არწივი და სევიც-კი იქ იყენ.

როცა მზეწვია მოვიდა და ამოდენა ფრინველების ყრილობა ნახა, რა ამბავიაო, იკითხა:

— ეინა გკითხავეს ზენა, გასწი მიულოცე ჩვენ ხელმწიფეს მშვიდობით ტახტზე აბძანება, უყუერის გჯიჩიო.

— არ მეტყვით ხალხნო, ეინ აირჩიეთ მეფეთ, რომ მივიდე და თაყვანი ვცე?

— ბუ ავირჩიეთ, ბუ, ჩენი ბრძენთა — ბრძენი, მაგის მეტი ჩენს აწეწილ-დაწეწილ საქმეს ვერაეინ მოუვლიდა, ყველაზე დიდი თავი მაგასა აქვსო. შესძახეს ყველამ ერთათ მზეწვიასა.

შენებდა მზეწვიამ, მართლა ბუ დაუსევამთ ხელმწიფეთ. ისიც დამჯდარა ერთ დამპალ კუნძზე და ცხრილის ტოლა თვალებს აბრიალებს.

— ეაჰ შან ჩემო თავო, რა გიქნიათ ხალხნო, ეგ არის ჭკვიანი, მაგას აქვს დიდი თავი? თურმე შესძახა მზეწვიამ, მაგისი თავი ხომ ცარიელი ბუმბულია და შიგ თხილის გულისტელა ტვინიც არ უდევსო. ესა თქვა თურმე, ეცა ამ ბუსა, გაუბღღენა, გაუწიწენა თავი და

*) ჩირთი — ახლათ რა ფართოლი იშლება, ტყე რა მჭანეთ შეზინდება.



აშუღი მიმინო

მართლა ერთი ბეწვა თავი-კი ჰქონოდა. ამოჰკრეს კუკუ და გააგდეს საწყალი ბუ.

ვგრე ჩემო ძმაო, სოფელი ბრმაა, რასაც ერთი დაიყვირებს, ცხერის თარასავით სხვებიც იმასა ბლავიან. თუ ხანდახან შიგადა-შიგ თვალის ამხელი არაეინ გამოუჩნდა, როგორც გვინდა, ისე მოვიქცევით.

რაც ჯიხოლამ ურჩია, მიმინოც სწორეთ იმ გზას დაადგა.

* * *

სოფლის განაპირას, ერთი ვენახის ლობეში შემძვრალიყო მიმინო. იქვე მდგომ ვერხვის წვეროკინაზე ჯიხოლაც შესკუპებულიყო და ორიენი თავ-გამომეტებით გალობდენ. გაჰკიოდენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თავს არა ჰზოგავდენ. ზამთრის დილა იყო ციკავი და სუსხიანი. მგონი არც ჩვენს აშუღებსა სცხელიადათ, რადგან ხან ერთ ფეხს იმაღლდენ ბუმბულში, ხან მეორეს.

საბრალო ჩიტებიც მობუზულიყვენ, შიმშილი და სიცივე საქმეს უჭირებდა. ბედნიერი საბძლებისა და თივის ძირის გვერდებში შემძვრალიყვენ, უბედურები ღობეებსა და ჩირგვებ ქვეშ მიყუჟულიყვენ და სიცივისგან იკრუნჩხებოდენ. თან მწუხარე ხმითა წრიპინებდენ. ეს ამათი გაჭირების გალობა იყო. განა ვისმე შეჰჩიოდენ თავის გაჭირებასა? ან განა დახმარებასა და შევლას ვისმე სთხოვდენ. —სრულიადაც არა! იმათ კარგათ იცოდენ, რომ იმათთვის თავს არაეინ გაიცხელებს. ეს იყო, ერთმანერთს უზიარებდენ თავის გაჭირებასა. შეიყრებოდენ ერთათ და გააბამდენ წიწინს, ამ ხმაზე ყველა მხრიდან მოდიოდენ მშიერები და ერთმანეთთან გულს ართობდენ, მშიერ ღღეს ალამებდენ.

ეს იყო მიზეზი, რომ მიმინო და ჯიხოლა ამ დილით სწორეთ იმ ხმაზე გალობდენ, რაზედაც ჩიტები. მართლა გალობა-კი არ იყო:

— ხან ბელურებივით ქვივებიდენ, ნიბლიებივით წიწინებდენ, ხან მწეწეასავით წრიბინებდენ და ლობემძვრალასავით წიოდენ.

— გვიშველეთ, გვიშველეთ, მტრის ხელში ნუ ჩაგყვართ! წრიბინებდა ბელურა— მიმინო.

— სადა ხართ, ჩემო ძმებო და ბიძაშვილებო! მიშველეთ!

— ვაიმე, ვაიმე! გაჰკიოდა მალლა ვერხვიდან ჯიხოლა. — არა გრცხვენიათ, რომ არა გშველით?!

ან და ხმა მალლა იპატივებდენ მსუქან საუზმეზე ხალხსა: მოდიო ჩქარა, სანამ რთველი არ წასულა, დაეშურეთ, ამოდენა მარცვლი ყრია აქა და მჰამელი-კი არავენ არის. ჩიტებიც ფაცხა-ფუცხით მიეშურებოდენ მიმინოსკენ, ზოგი ვითომ-და გაჭირებულის საშველათ, ზოგიც მუცლის გასაძღობათ. იესებოდა ჯაგები ჩიტებითა. იდგა ერთი ჭრიაშული და ჭრელი-ხიელი. ეძებდენ გაჭირებულს და საშველათ მზათ იყენ, მაგრამ იქ მიმინოს მეტს ევრავის ჰხედავდენ.

— რა ექნა, რა აწიწინებს ამ მეჩითიას, ამბობდა ერთი ბრიყვი, განა რა გასჭირებია ისეთი!

— ეგეც, ეგ საწყალი, შიმშილს შეუწუხებია, იბრალვდა მეორე ბრიყვი.

— არაო, ფიქრობდა ჭკვიანი, თან კლანჭებში შესცქეროდა, მაგას ალბათ ჩენი მოძმე ვინმე ჰკაეს კლანჭებში დაბლუჯული და ის გვეძახისო და უმჯობესათ სთელიდა, იქაურობას გაცლოდა.

მიმინო-კი გაქვავებული იჯდა ჩირგეში და გამწარებული წიწინებდა. არ იძვროდა, სიცოცხლე სრულვებით არ ეტყობოდა. ვინ იტყოდა, თუ ის მტაცებელი იყო. რა რიგათ ჭკვიანათ იჯდა, არავის რას ერჩოდა.

— ეგ გაბელურავებულა, ახლა-კი ღმერთს უშველია ჩვენთვის. ჰაიდა, ბელურებო! ახლა-კი აღარას გვერჩის, პირ-იქით ჩვენ გამოგვესარჩლება. ასე ფიქრობდა მესამე ბრიყვი და კინალამ სიხარულით „ურა“ დაიღრიალა.

— გაფრთხილდით, ბელურებო, მახეში არ გაკაბათ — მაგ მწუხა-



რე აშუღმა, ეძახდა შორიდან მზეწვია. ან შენ რაღას გამოყვეყჩე-ბულხარ და პირ-დაღებული შესცქერიხარ, ქერონაე? შენისთანა მსუქანი მსმენლები უქეარს მაგ მკლე აშუღსა.

გაქემოგების მიხედვით მიმინოც სცვლიდა ჰანგსა. როცა იცო-და, რომ ახლა ჩიტებს შიმშილი აწუხებთო, მაშინ იმისი გალობა ჩიტებს იწვევდა საჭმელზე, თითქო თვითონ გამაძლარი იყო და მო-ნარჩენს იმათ უწილებდა.

— აბა დაეშურეთ, სანამ სხვას დაუსწვრია და აუკენკია, დაეშუ-რეთ, წიწინებდა მიმინო. მართლაც ბევრი იყო ბრმა-ყრუ, მშიერი; იმათ სულ მართალი ეგონათ მიმინოს სიტყვები და სულ ფაცა-ფუ-ციოთ მიეშურებოდნენ ამისკენ. შემოეხვეოდნენ ირგვლივ მიმინოს, იქექებოდნენ, იბერტყებოდნენ, იზმორებოდნენ და თან გაკვირებულე-ბი უსმენდნენ—ამ ჩიტებს ენაზე მოლაპარაკე მტაცებელსა.

ისიც იჯდა თავ-მოკატუნებული, არაეცს-რას ერჩოდა, არაეის რას უშაებდა.

ქკეიანებიც, ცოტა არ იყოს, ექვში შევიდნენ, იქნება მართლა ჩენთეის გული შესტკეიო. რაღდენჯერ მომხდარა, რომ მოსისხლე სწორე გზაზე დამდგარა, შეუნანია თავისი ცოდვები და მერე სულ მაღლზე უელიოა. მაინც გული-კი როგორღაც არ ენდობოდათ. ძალიან შორს არ იყო ის ღრო, როცა ეს ეაჭბატონი აქ შეყრილი ჩიტებისას ზოგისას დედას იჭერდა და სჭამდა, ზოგისას ძმას, დას, მამას, შეილოს, ნათესავს. ბევრი ამათვანიც რის ვაი-ვაგლახით დაღწე-ვია იმ აშუღის კლანჭებსა.

* * *

კარგა ხნობამდე ეერაეინ მიუხედა მიმინოს, თუ რას მოასწაებე-და იმისი დილა-სალამოს გალობა. თუმცა ბევრი ამ მსმენელთავანი უნიშანგეშოთ იკარგებოდა,—ალარც მკედარი ჩანდა და ალარც ცოც-ხალი.



მართალია მეორე დღეს მრავლათ პოულობდენ ახალ-ახალს ბურტყულს, თოვლზე მოდებულს იმის შესწეროვ, სადაც მიმინოს ჩვეულებათა ჰქონდა ჯდომა, მაგრამ მიმინოზე ხომ ვერ იუიქრებდენ ვერაფერს. ალბათ თავის გაუფრთხილებლობით, ან ძელია შეკამდა, ან თრითინა.

რამდენიც დრო გადიოდა, ხევის პირზე ღობის ძირები და ჯაგ-მაგები ბუმბულით იმსებოდა. ხოლო მიმინოს მსმენლებს თანდათან აკლდებოდა. იქნება მოჰბეზრდათ და სოფლათ გაუჩინდენ? — რა ბრძანებაა! — თუ აქამდე თითო სამალაეში შეიდი და რეა ჩიტი იჯდა, ახლა ორი-სამი-ლა ეყუნტა. ზოგან ერთიც აღარ იჯდა. ეს გარემოება ბალღებმაც შენიშნეს, სარზე ჩამოცმულ კალანჩებით საღამოობით თივებში და საბძლებში ჩიტებს რა იჭერდენ. ნეტა რა იქნენ იმდენი ჩიტები, სად წაეიდენ. თითქო არც ისეთი სასტიკი ზამთარია, რომ სიცივეს გაეწყვიტა. ან თუ სხვაგან წაეიდენ სადმე. ჩიოდენ ბიჭები. აქამდე კალოებიდან და საბძლებიდან სულ ბოინი და ბოინი გამოიშლებოდა ხოლმე და ახლა-კი თითო-ოროლა-ლა დაყიადებს, ეს ოხრებია.

* * *

მიმინო-კი სუქდებოდა. ჯიხოლას ჰქუა კარგათ დაუჯდა. ახლა არჩევანშიაც შედიოდა. უფრო მსუქნებს ეტანებოდა და ყარტალ-ყურტალს ყურადღებას აღარ აქცევდა. ახლა უფრო თამამათ იქცეოდა და ჩიტებს აღარას ებუებოდა. რამდენმა დანახა, როცა ის მსუქან ქერონას შეეკცეოდა, ან ტოროლას სწიწნიდა.

მზეწვიამაც ბევრი სიკეთე დასდო საჩიტეთსა. ვისაც შეხედებოდა ყველას ეჩიჩინებოდა, მიმინოს გაუფრთხილდითო, და მიმინოც დაფიცული იყო, სადაც-კი მოეწყოდა, მზეწვიას მზეს დაუბნელებდა.

— ეგ არის, რაც არის, ამბობდა გაცოფებული მიმინო. დასწყელა ღმერთმა, თუ ქვეყანაში ერთი მოუსვენარი არ გამოერია, რა



არ იქნება! ეინა გკითხავა? შენა, ეინ ამოგირჩია ქვეყნის პატრონათ, ეგლე შენს ქერქში, რა გინდა, რათ მიშლი ხელსა? ხო იცი, როცა ხელში ჩამიფარდები, ხერის არ დაგაყრი და პირს არ დაგიკოცნი... მაგრამ მზეწვია თავისას არ იშლიდა.

— გამოიჩინეთ ყურები, ძმებო, ეჩინებოდა წიპრია (მზეწვია) შეყრილ ჩიტებს: მართალია გშიანთ, გცივათ, მაგრამ მიმინო გგაძლობსთ? ეგ თქვენგან მოელის გაძღმას. ქვეყნის მასხარა ნუ ეხლებით, ტუბილი სიტყვით ნუ ეტყუედებით. ე ჩვენ ძალათ მაინც ნუ ეფრებით პირში და ეისაც ძალით მოასწრობს და დაიქერს, რა ეყოთ. ერთმანერთს მხარი მიეცეთ ყველამა. მართალია პატარაები ეართ, უღონონი, უკლანჭონი, მაგრამ სიცოცხლე ხო ყველას გეყუარს. ჩენი ბუდე და ჩენი მიწა-წყალი ხომ არაეის მოგვძულებია. შეეკრათ პირი, შეევიკარნეთ ერთათ, დავესხნეთ თავს და თუ ეერ მოეკლათ, აქედან ხომ გავაძევებთ. გაიკებს მაინც საჩიტეთი, რომ მიმინო ჩენი სულთამხუთათია და საკელოთ გავურთხილდებიან.

— იცით? იძახდა სოფლის ზემოთ ფერდაში თეთრ რცხილაზე მჯღომი ჩხიკვი, ჩიტებს გადაუწყვეტათ მიმინოსთან ომი და არ ეიცი როგორ წავა მაგათი საქმე, მე-კი მგონია, უნდა გამიარჯეონ. თუ-გამომეტებულს კაცს ბეგრი შეუძლიან.

— დაიკარგენ ის მასხარები, იმათ თავის-მზემ მიმინოს ყურებზე ხახვი არ დაჭრან სკინტლიანმა ჩიტებმა. ბურტყუნებდა ბეცი ბუ, ბებერი წიფლის ღრუფში მჯღომი.

— შენ რალას იტყვი, შაშვო? დაეკითხა ჩხიკვი.

— მე იმას ეიტყვი, რომ მიმინო არც ჩვენ გვაყრის ხერის. სადაც სამართალია, ჩენც უნდა მივეშველნეთ, სულ ხომ ერთბაშათ ეერ გავგწყვეტს. სულ მუდამ შიშში და ელდაში ყოფნას: „ერთხელ სჯობიან სიკედლიო, სულ მუდამ დალონებასაო“, უთქვამთ ქკვიანებს. წიფლის ჩიტაც ამასეე ამბობდა.

კოდალა და ჩნართეიც თანახმანი იყვენ. ტურფა დედოფალა იტი, წითელ-ყვითლათ რო იყო მორთული პატარძალსავით და

ქალს უფრო ჰგევანდა, ვიდრე ბიჭს, ისიც-კი თავ-გამოდებოთ იყევბო-
 და: „მიმინოს თავზე ლაფს დაეასხამთო“.

ნიბლია, ლობემძერალა, წყლის-ჩიტა, ლალლა, წუა, მწყერ-ჩიტა
 და ათასი სხვა, სულ ყველა საომრათ ემზადებოდა. ჩხიკვიც-კი, ჯა-
 ფარას რო ეძახიან მეტ სახელათ, იქ იყო და „რაზმს აწყობდა“. —
 მართალიაო — იძახდა — ჩემთვის არა დაუშაებია-რა, მაგრამ თქვენთან
 მეც თავი მიღვესო.

— აბაო, იცინოდა ჩხიკვი, ემ ჩემს ლურჯ ხორცს რა
 გემოს ჩაატანდა, თორემ ჩემი ქრელი ქათიბი-კი არ ენანებოდა
 დასახევათო. ახლა მიმინომა ნახოს იმისი რუსული მაზარა *) რო-
 გორ დაეფხრიწოთ ამ პატარა ჩიტებმაო. ყველა რასმე იმუქრებოდა
 და სისხლის აღებასა ფიცულობდა. რომელნიც უფრო გულადები
 იყვენ, ისინი ოხუნჯობდენ და ხალხს აცინებდენ. — მალე გაიკებ,
 ჩვენო ხმა-ტუბილო აშულო, შენგან დაეაღებული ჩიტები რა წვეუ-
 ლებას გაგიმართვენ. გიყვარს მსმენლები და იმდენს მოეასხამთ, რომ
 ქეიფი წაგიხდესო.

მეორე დილით ბუმ რომ ღრუდან თავი გამოჰყო, ტყეში ძე
 ხორციელი აღარ იყო. — კიდე არ გაბრიყვებულან ის ტუტუცებიო —
 თქვა და ისევე შეიმალა ბნელაში.

* * *

მეორე დღეს დიდი ქვილი-ხივილი და ხმაურობა იდგა. გუნდი
 და გუნდი წვირილ ფრთოსნებისა სოფლისკენ მიეშურებოდა. ზოგი
 ტყიდან, ზოგი მთიდან, ზოგი მინდორ-ქალებიდან და ქაობებიდან,
 რა ჯურის ხალხი არ იყო იქა. მომეტებულს ერთმანერთის სახელიც
 არ გაეგონა, თორემ თვალი-კი დაეკრა. ყველა-კი ერთმანერთს ულო-
 ცავდა და ესალმებოდა. თვითონვე უკვირდაი, როცა ვენახების ხე-

*) მიმინოს ჯგა ფერა ბჭეს.

ხილები მთლათ დაიხუნძლა ფრინველებით, ამდენნი სად ეყოფილ-
ვართო. ტყიდან მოსულებს ბაირალტრათ ჩიკვი აერჩიათ და წინა-
მძლოლიც ის იყო.

ჭლყევეი გაკვირვებით შესცქეროდა ამოდენა ლაშქარს და თან
ყვავს ეკითხებოდა:—რას აკეთებენ აქ ეს ჩიტები, ყვაეო, არ იცი?

რას იფიქრებდა მიმინო, თუ დაჩაგრულ-დამონებული ჩიტები
ხელს გამოიღებდენ და ომს გამოუცხადებდენ.

აბა რაღა გავაკრძელო ომის აღწერა. უეჭველია ბევრი მოკვდე-
ბოდა. ლექსი ამბობს, რომ:

„ჩიტთა შეჭამეს მიმინო,
შეიქნა ღროთა ცვლილობა...
აბა თუ შეგრჩესთ, ჩიტებო,
მაგაზე თაემოვლილობა“ო.

აღბათ გადარჩენილი ჯიხოლა იტყოდა.

თ. წაზიკაშვილი.



აგავი კოვილაგისა.



I

არალო, ჩემო დედაო!
გადავჯე კურდღელზედაო;
გაეაჭენ—გამოეაჭენე,
გაეაგდე მინდორზედაო!

არალო, ჩემო დედაო!
შემოვალ ჭალაზედაო.
წინ მელა შემომეყარა,
ხელი აქეს ხანჯალზედაო;
მოვერიდე და გზა მივეც
ერთი დღის საეალზედაო.

არალო, ჩემო დედაო!
მოერბიერ ძალაზედაო.
ახლა მკაოია შემომხედა,
გამება კალთაზედა.
ხმალიც მზათ ჰქონდა, შუბიცა,
ფალიაც ჩანმანზედაო.
შევატყე შულლი ეწადა,
არ იყო სალამზედაო.
მე ტკბილად მიემშვიდობე:
„მკალიაე, გამარჯეებო!“

არ იქმნა, ვერ შევირიგე,
 მოგვიხდა დაჯახებოა. *)
 მარჯვედ ვერ შევხვდი, ჩამიღო
 ორ სამჯერ ერთურთზედაო.
 მაშინ მეც აღარ დავზოგე,
 რაც მოხერხება მქონდაო:
 დაეკარ ხრინკ—კისრულ-მოგვერდი,
 თუ სარმა ზედიზედაო.

თუ ის ჭიდილის სკოლედი,
 მეც შევხვდი ჩაბარკონელი: **)
 ისე გავლახე სამჯერ, რომ
 სულ დაეიწყდა თაველი.
 ის ფარ-ხმლიანი ვაქაკაცი,
 მე ბიჭი—ერთი მტკაველი!
 ამ დროს თავუნა მოვიდა,
 ჩამოგვეკიდა ყელსაო:
 „ორნივე კარგნი ჰყოფილხართ,
 დაურჩით დედა თქვენსაო.
 გეყოთ, შერიგდით, გენაცვათ,
 ნუ დაჰხოცთ ერთმანერთსაო“.

ხელი გავუშვით, ერთურთზედ
 ჩვენც გული მოეიქცივეთა.
 ვიძმენით, ერთურთს ვაკოცეთ,
 წრუწუნაც ვიძმობილეთა.

II

მერე ძმებია, პურ-მარჩილს
 აღარეინ გადაუღვება.

*) დაჯახება — შეჭიდება.

**) ჩაბარკონელი — ბაჯაყლანა, მატარა ტანისა.

ბავშვი მოჰხნავს და, რა ზედა
 ჯეჯილი აბიბინდება,
 მაშინვე საყარაულოდ
 კურდღელიც გვერდით უდგება.
 ნამგლისა უწინ ყანაზედ
 მკალია აჭიჭინდება;
 ჰკერეცს და ჰკერეცს თათავეს, ქვევით ჰყრის,
 თაგვიც იქ მიცუნცულდება,
 აჭკრეფს და მერე საჩქაროდ
 სოროსკენ გასუსუნდება.

პური ბელელში ბლომად აქვს,
 საზრდო ყველასთვის კმარია.
 მიდი, სტუმარო, მასპინძლის
 ღიაა შენთვის კარია.

კაკლის ნაჭუჭით ლულდს ჰპარშვენ
 ძმანია ნადიმზედაო.
 სხეც ბევრი მოუწვევიათ,
 ლულდს სვამენ წადინზედაო.
 ისხამენ მამლის ყანწებს და
 რკოების ჯამებზედაო.

ბახანა.



თეკლეს ახალ-წელიწადი.



საშინლათ ჰყინავს, საშინლად. დედამიწას სულ
 რაკა-რუკი გაუდის. მოკრიალებული ცა ვარსკვლა-
 ვებით არის მოჭედილი, მხოლოდ ჭირხლ-მოკიდე-
 ბული მთვარე პირბადე-ჩამოფარებული პატარძალი-
 ვით ინაზება და მკრთალ ნათელსა ჰყრის ქვეყანაზე.

ბებია თეკლეს ოთახში სანთელი არ ანთია,
 მხოლოდ ბუხარში ცეცხლი ოდნეა ბჭუტაეს და
 ჩაბნელებულ ოთახს, სასიამოვნოდ ანათებს. თეკლე
 თანჯარასთან ღრმა კრესლოში ზის, ხელოში ლამაზი,
 მხელილი ქარვის კრიალოსანი უჭირავს და ჩაფიქრე-
 ბული მარცვალ-მარცვალ აგდებს; ხან-და-ხან თეკლე
 გადახედავს თანჯრის წინ გადაშლილ საახალწლოდ გაჩირაღდებულ
 ქალაქს, ხალხის მოუღალაე ფუსფუსს, საახალწლო სამზადის და
 ამოიოხრებს.

ბევრი ახალ-წელიწადი გაუტარებია თეკლეს ტუბილად, ბევრი
 მწარედ. იგონებს წარსულს, გონების თვალს ავლებს. რა ვიყავი და
 რა ვარ? ჰფიქრობს ბებია თეკლე: „მშვენიერი, გონიერი, ღონიერი,
 ზოგჯერ ტუბილი, ზოგჯერ მწარე, მაგრამ ყოველთვის სწორე, სა-
 მართლიანი, საცოდავთ შემბრძალე... ეხლა?—ეხლა დაერდომილი
 დედაბერი, ყრუ, თვალგბ-დაბლისტული. ვილა რალას აქნევს ჩემა

გონებას, ჩემს სამართლიანობას, სიტკბოს თუ სიმწარეს, ენა-წყლიანობას? დაეწყებულ იქნას, დაეწყებულ იქნას! სადღა ჩემთვის ახალ-წყლიწადი! რაღას მომიტანს სანუგეშოს!...

ეჩივი?! მაგრამ რა მაქვს საჩივნიელი?—განა ასე არ არის ბუნების წესი და კანონები: წამსვლელნი უნდა წაეიდნენ და მომსვლელნი უნდა მოეიდნენ, ხარობდნენ და იცინოდნენ?... უცებ თეკლეს ფიქრები შესწყვიტა ბაღლის გულიანმა ხარხარმა და ოთახში შემოიჭრა ოთხი წლის ნათელა და გარშემო სიციცხლე, სუნნელოვნება და ნათელი მიჰკუნია.



— ბები, ბები, ბები! გაისმა იმისი ზარივით წკრიალა ხმა და ბებია ფიქრებიდან გამოარკვია. ანგელოზის მგზავსი, შავ თმიანი, წითელ ლაწებიანი, თვალეზ-მოცინარი, ფუნჩულა ხელეზ-გაპარკუკული ქმნილება ლიკლიკებდა: „სად აღი ბებია, სად აღი ბებია, საქალი უნდა მიეუტანო!“

— აქა ვარ, აქა, გენაცვალოს ბებია, შეპყვირა მხურვალეებით

თეკლემ და გულში ჩაიკრა თავისი ნებიერი, თავის ორთაე თვალის სინათლე შეილი-შეილი და თან გაბრწყინვალეებულ ზეცას ბოდინით თვალი შეეფლო და შეინანა, რომ ერთის წამით მაინც ბედს საყვე-ღური განუცხადა.

— თავს შემოგველე, წამლათ წაგეცხე, მტლეთ დაგედე, ჩემო მშვენიერო, ჩემო ანგელოზო.— უაღერსებდა გაუთავებლათ დიდი დე და და ნათელაც თავის ტუბილ ბეზიას აღტაცებით ყელს ეხვევოდა, დამკნარ ლოყებს უკოცინდა, თვალეებში შესცინოდა, ულოლიებდა: „ბები, ბები, ზიზია ბები! კაკა, კაკა მინდა!“

— კაკა? აბა ერთი ითამაშე, აბა ერთი გამახარე და კაკას მოგ-ცემ, უთხრა ბებიამ პატარას და იატაკზე დასვა, თან ტაში გამოჰკრა და ზედაც ჩიფჩიფა ტუჩებით სათამაშო ააყოლა: „აი ჩემი ახალ-წე-ლიწადი, ახალ-წელიწადი, ახალ-წელიწადი!“

ნათელა დატრიალდა, გაშალა მშვენიერი ცაცები, ხან ერთ ფეხზე შესტა, ხან მეორეზე, ხან თავი აქეთ გადილა, ხან იქით, ხან ვარს დაუარა, ხან მრავალ-ნაოჭიან თეთრ მსუბუქ კაბას ხელი გა-იკრა და გააფრიალა!

წელში მოხრილი ბებია, თვალეებ-მოკრუტული, მაგრამ სახე გაბრწყინვალეებული გაქანებული ტაშს უკრავდა და მღეროდა: „აი ჩემი განახლება, ჩემი ახალ-წელიწადი—შენა ხარ, შენა ხარ“, შეილი-შეილი ტრიალებდა, ხარობდა, იცინოდა, კაკებს ელოდა.

მე. გაბაშვილის.



თამარ მეფე.



სახელოვანი და ქებული იყო საქართველოს მეფე გიორგი მეცამე. მისი ხმალი მუდამ იმარჯვებდა მტრებზე და მისი ჭკუა-გონება მუდამ ქართველის ერის საკეთილთ და სასარგებლოთ ირჯებოდა. მტრები შიშით და მოკრძალებით უტკეროდნენ, ხოლო ქართველები სიყვარულით და სასოებით შეჰყურებდნენ მას. მასვე ჰყავდა შესანიშნავი თავის სილამაზით, სათნოებით და ერთგულობით ცოლი ბურღუხანი. ასე რომ მას დასამღური არა ჰქონდა. რა ბედთან, ერთი რამე რომ არა ჰკლებოდა. გიორგი მეფეს და ბურღუხან დედოფალს შეილი არა ჰყავდათ და ამის გამო გულს აკლდათ ძალიან. მაგრამ გიორგი მეფე ბედნიერს ეარსკვლავზე იყო დაბადებული და ამიტომ ბედმა არც ამ მხრით უღალატა. მეფე დედოფალს ბოლოს შეილიც ეყოლათ; გაუჩნდათ ქალი, რომელსაც სახელათ დაარქვეს თამარი. ეს ის თამარია, რომელსაც ქართველი ერი დღესაც დიდის მოწიწებით, ქებით და ამოყობით იხსენიებს.

ახლათ დასადებული თამარი მეტათ ლამაზი, ჯან-სალი და ლონიერი ბავში იყო. განარებულმა გიორგი მეფემ დიდებული ძეობა

გაღიხადა. მთელი ერი გულით ხარობდა მეფესთან ერთათ თამარის დაბადებას, თუმცა თითქოს გულნაკლოობას გრძნობდა ყველა იმიტომ, რომ ახლათ დაბადებული არ იყო ვაჟი.

გიორგი მეფეს შეეძლო ათასი ძიძა ეზოენა თავის ქალისთვის, მაგრამ ბურღუხან დედოფალს აზრადაც არ მოსვლია ძიძისთვის გაეზრდებიდნენ თავის საყვარელი ქალი იმ დროს, როცა ძუძუები სასე ჰქონდა რძითა. ბურღუხანი დიდს ნეტარებას გრძნობდა, როცა თამარი მადიანათ სწოვდა მის ძუძუს და თავის პაწია ხელებს ზედ უპოტინებდა.

მხოლოდ ბავშვის მოსაგლეხათ და დედოფლის საშველათ ერთი მარჯვე და ჰკვიანი გამდელი დანიშნეს. ამას გარდა ბურღუხანს ეხმარებოდა თამარის მოვლაში გიორგი მეფის და რუსუდანი.

თამარმა მალე აიღვა ფეხი. ტიტინიც მალე დაიწყო. ახლა უნდა დაწყებულიყო თამარის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა. აი ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ბურღუხანს მისმა მულმა. რუსუდანი ძალიან ჰკვიანი, გამოცდილი და ნასწავლი ქალი იყო. ცოლათ ხორასნის სულთანსა ჰყავდა და ამის გამო კარგა ხანს მოუხდა სპარსეთში ცხოვრება. აქ მან შეისწავლა სპარსული ენა, სპარსეთის წეს-წყობილება, ჩვეულება და უმთავრესათ მწერლობა, რომლის საშუალებითაც შეითვისა აღმოსავლეთის სიბრძნე და მეცნიერება. დაქერივების შემდეგ რუსუდანი უშვილოთ დარჩა და ამიტომ დაბრუნდა თავის სამშობლოში გიორგი მეფესთან. მეფემ და დედოფალმა იცოდნენ მისი სიჰკვიანე და ამიტომ სრული ნება მისცეს, ისე აღეზარდა თამარი, როგორც უნდოდა. ბურღუხანმა ხელი მოჰკიდა თამარის აღზრდას, როგორც თავის საკუთარის შეილისას. მას შეგნებული ჰქონდა, რომ თუ ბავში ცუდს ზნეს და ხასიათს იჩენს, ეს ყველაფერი უფროსების გავლენით ხდება, ბავში როგორ მავალითსაც დაინახავს, ისე მოიქცევა და რასაც ჩააგონებენ, იმას შეითვისებს. ამიტომ განკარგულება მოახდინა როგორ უნდა მოქ-

ცეულიყვენ მოსამსახურეები და თვით დედ-მამასაც დარიგება მისცა. მაგალითათ, რომ მშიშარა არ გამოსულიყო თამარი, რუსუდანმა უბძანა ყველას, თავის დღეში არ შეეშინებინათ ბაეში, მარტოდ მის დატოვებას არ მოარიდებოდენ, როგორც სინათლეში ისე სიბნელეში, და რაც უნდა სტკენოდა, არ ეკვილათ და არ შეწუხებულყვენ მის წინაშე. რომ ტყუილი არ გაჰკარებოდა თამარს და დამალვა არ ესწავლა, აუკრძალა ყველას მასთან რამე ტყუილის თქმა ან რისამე დამალვა. რომ ანჩხლობა და თავნებობა არ შეეთვისებინათ თამარს, რუსუდანმა დაარიგა ყველანი, რომ თამარის ყოველს მოთხოვნილებასზე, რის შესრულებაც მანებელი იქნებოდა მისთვის, პირდაპირ უარი ეთქვათ და თან აეხსნათ რისთვისაც უარს ეუბნებოდენ; ამ განმარტების შემდეგ რამდენიც უნდა ეტირნა და გაქირავებულყყო, არაფრის გულისთვის არ უნდა შეესრულებინათ მისი მანებელი ან უზომო სურვილი. სხვაფრივ რუსუდანი სრულს თავისუფლებას აძლევდა. თამარი მეტათ ცქრიალა და ცელქი ბაეში იყო. დაუღალავათ დარბოდა და ცელქობდა სასახლის ოთახებში, ეზოში და ბაღში, ყველაფერს კითხულობდა, იძიებდა და იწყრილებდა. ეს რა არის? რისთვის არის? ვინ გააკეთა? და სხვა ამისთანა კითხვები მუდამ პირზე ეკერა და მოსვენებას არ აძლევდა მასთან მყოფს გამდღოს, მამიდას, დედას და მამას. ესენიც მოთმინებით ისმენდენ მის გულუბრყვილო და ხშირათ ღრმა-აზრიანს კითხვებს და, როგორც შეეძლოთ, პასუხს აძლევდენ. რუსუდანი სარკებლობდა შემთხვევით და რასაც თამარი ნახავდა — ბალახს, ხეს, ცხოველს, თუ სხვა რამე საგანს, იმათ მსკაცეს ან წინააღმდეგს, სპარსეთში ნახულს ან გაგონილს, ყველაფერს უამბობდა. მის ხელმძღვანელობით თამარმა გაიცნო ბუნება და ბუნების მოვლენანი, როგორც საქართველოში ისე სპარსეთში და სხვა ქვეყნებისა.

ბუნების გარდა თამარს ადამიანებიც უყვარდა. მეფის კარზე მუდამ დიდი მისეღა-მოსეღა იყო. მეფესთან მოდიოდენ ხალხის ყოველნიერი წარმომადგენლები: დიდებულებიც და მდაბიონიც, მდიდ-

რებიც და ლარიბებიც, ამიტომ თამარმა მეფის სასახლეში აღრვევ გაიქნო ქართველი ხალხი. თამარი უთუოთ იკითხავდა ხოლმე ყოველი მოსული კაცის ენაობას, მის მოსელის მიზეზს და, ასე გაშინჯეთ, იმასაც თუ რა პასუხით დაბრუნდა. რუსუდანი და მშობლები არათერს უმაღლედენ და მის ცნობის მოყვარეობას აკმაყოფილებდენ. ცქრილა და თამამი თამარი, არ ერიდებოდა მოსულს ხალხს და ხშირათ შეირბენდა ხოლმე მამასთან, როდესაც ის საჩივარს ან რამე მოხსენებას ისმენდა კერძო პირთა თუ ხელისუფალთაგან. მაგრამ ყველაზე მეტათ უყუარდა და ართობდა თამარს დიდებულთა ბჭობა, რომელსაც მეფე გიორგი ხშირათ მართავდა ხოლმე თავის სასახლეში. თამარი თითქო თითონაც გაიმსჭვალებოდა ხოლმე იმ დარბაისლობით, რომელიც დიდებულთა ბჭობის დროს ყველას სახეზე აჩნდა. დიდებულების დინჯი, თავაზიანი და მწყობრი ლაპარაკი რაღაც სხენაირს შთაბეჭდილებას ახდენდა მის მგრძნობიარე ბუნებაზე და თითონაც, ჩვეულებრივ ცეკვი და დაუდგრომელი ბეში, სულის განაბავდა ხოლმე და ღრმა ინტერესით უგდებდა ყურს მეფისა და დიდებულთა ლაპარაკს. მეფეც, რაკი იცოდა რომ თამარი არ არღვევდა მყუდროებას ბჭობის დროს და უმთავრესათ იმიტომ რომ, თამარი სიამოენებდა ამით, არ უშლიდა დასწრებას. ამ ბჭობაზე ბევრი რამე არ ესმოდა თამარს, მაგრამ ისეთის ყურადღებით ისმენდა ყოველს თქმულს, რომ საზოგადო აზრს ნამდვილათ იგებდა, ხოლო გაუგებარს წერილმანებს შემდეგ მამიდას ან თვით მამას ეკითხებოდა.

ასე იზრდებოდა ბეში—თამარი თავისუფლათ, ლაღათ, მარტოთ-მარტო, რადგან მის დედ-მამას სხვა შეილი აღარ გაუჩნდა. მაგრამ ბედმა მალე ამხანაგი გაუჩინა. ეს ამხანაგი იყო დავით სოსლანი, თამარზე ცოტათი—ერთის ან ორის წლით უფროსი. გიორგი მეფის პაპს, დავით აღმაშენებლის, პაპს ბაგრატ მეოთხეს ჰყავდა ძმა დიმიტრი, სხვა დედისაგან ნაშობი. მის მამის გიორგი პირველის სიკვდილის შემდეგ დედამ დიმიტრი თავის მამის სახლში წაიყვანა ოსეთ-

ში და იქ გაზარდა. დიმიტრის ჩამომავლები დამკვიდრდნენ ოსეთში და შეიქმნენ მთაერებათ ოსეთის ერთის ნაწილისა. ისინი არ იყიწყებდნენ საქართველოს სამეფო გვართან ნათესავობას და მუდამ მისვლა მოსვლა ჰქონდათ თავიანთ ქართველს სახლიკაცებთან. დავით სოსლანის მამას ბევრი შვილი ჰყავდა და ერთი მათგანი—დავითი რუსუდანს ჩამოუყვანა გასაზრდელათი. რუსუდანმაც ძრიელ შეიყვარა მშვენიერის სახის ყმაწვილი და დაუწყა ზრდა როგორც შვილის. თამარი ძალიან მოხარული იყო ამხანაგის შოენისა და დიდის სიამოვნებით თამაშობდა და ცელოქობდა დავითთან. ერთს წელიწადს ირბინეს ასე თავისუფლათ და ლალათ თამარმა და დავითმა, ხოლო მეორე წელს-კი მათ ორივე რუსუდანმა დააწყებინა სწავლა და მით ნამდვილი საქმე გაუჩინა. წერა-კითხვა მალე ისწავლეს ერთმაც და მეორემაც.

მართალია დავითი არ იყო ისე ცქვიტი და გამჭრიახი, როგორც თამარი, მაგრამ ძალიან ჰკვიანი და დაფიქრებული-კი იყო. თამარი გაცილებით უფრო გონება-განსნილი იყო დავითზე, მაგრამ დავითიც ადვილათ ითვისებდა, რასაც ასწავლიდნენ. პირველი წიგნი, რომელიც რუსუდანმა მისცა საკითხავათ თავის მოსწავლეებს იყო ლოცვანი. როდესაც ყველა ლოცვები ზეპირათ ისწავლეს, შემდეგ სახარება მისცა საკითხავათ, ხოლო სახარების შემდეგ წმინდათა ცხოვრება. იმავე დროს რუსუდანი საერო შინაარსის წიგნებსაც აკითხებდა: მოთხრობებს, ლექსებს და უმთავრესათ ისტორიას. მაგრამ მართა წიგნების კითხვას არ ჯერდებოდა და ზეპირათ მოუთხრობდა ისეთ ამბებს რაც ავითარებდა თამარის და დავითის გონებას. მაგალითათ: უცხო ქვეყნების ამბავს, მათ ცხოვრებას და წეს-წყობილებას; აცნობებდა სპარსულის მწერლობის შინაარსს და აძლევდა ყოველსავე ცოდნას, რაც-კი შეთვისებული ჰქონდა თითონ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თამარზე იქონია საღეთი წერილმა, რომელსაც გატაცებით კითხულობდა. წმინდათა ცხოვრებამ ისე მოახიბლა თამარი, რომ თითონაც უნდოდა განეხორციელებინა მათი მაგა-

ლით და ჰბაძევა მათ. დაჩაგრულებს და დაწვრილებს სიყვარული მეტის-მეტათ ვაეითარდა თამარში. ორი-სამი წლის განმავლობაში თამარს თანდათან ცელილება დაეტყო. ის ცელქი და დაუდგრომელი ბავშვი ახლა მეტათ დადარბაისლდა და დაფიქრიანდა. თითქო ორ-სამს წელს-კი არა, ათა წელს გაეელოს მის ხნოვანობაშიო, მეტათ დაბრძენდა და სულ ფიქრებსა და კითხვაში გაერთო. ახლა თითქო მორცხეობაც დაიწყო. ისე თამამათ აღარ მიეგებებოდა ხოლმე მეფის კარზე მოსულებს და აღარც მეფის სასჯოში შედიოდა, მაგრამ ინტერესი-კი არ დაუკარგია. ყველაფერს თვალ-ყურს ადევნებდა, რაც ხდებოდა მეფის კარზე, და რასაც ითთონ ვერ დაინახავდა ან ვერ გაიგებდა, მამიდის საშუალებით ტყობილობდა. გიორგი მეფე ძალიან აფასებდა თავის დის სიბრძნეს და გამოცდილებას და ამიტომ სახელმწიფო საქმეებზე ყველაფერში ეკითხებოდა, უზიარებდა თავის და დიდებულების აზრებს და სთხოვდა მას რჩევას. თამარი ყველა ამებებს მამიდისაგან იგებდა.

საქართველოში ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც დიდი ჩაბეჭდილება იქონია თამარზე. ეს ამბავი იყო მის ბიძაშვილის დიმიტრის გადგომა და ამისთვის მისი დასჯა.

თამარის ბიძაშვილი დიმიტრი მის მამის დაეითის ანდერძისამებრ იზრდებოდა ორბელიანთა ოჯახში და ძრიელ იშვიათათ დაიარებოდა გიორგი მეფის სახლში. თუმცა გიორგი მეფე და მთელი მეფის სახლობა გულიანათ შეხედებოდა ხოლმე ამ ყმაწვილს, მაგრამ ბევრს ხანს მაინც არა რჩებოდა ბიძასთან. ეს სულ ორბელიანების ბრალი იყო. ორბელიანთ არ უნდოდათ დიმიტრი თავიანთ ხელითგან გაეშვათ და ამიტომ მას უნერგავდნენ გიორგი მეფის შიშს და მორიდებას. ისინი აგონებდნენ, რომ გიორგი მტერი იყო შენის მამისა, იმან მოაკვლევინა ის და ვაი თუ შენც ცუდი რამ დაგმართოსო. გიორგი მიხედვრილი იყო ორბელიანების ასეთს ინტრიგას, მაგრამ ხმას არ იღებდა და თავის ძმისწულს ძალას არ ატანდა დაენებებინა თავი ორბელიანებისთვის და დასახლებულიყო ტფილისში,

რადგან ერიდებოდა უფრო მეტათ არ გადაემტერებინა ეს მოუსვენარი გვარი. ორბელიანებმა დიმიტრის უფრო მჭიდროთ თავიანთთან დასაკავშირებლათ შერთეს ორბელიანის ქალი და დაისიძეს და მით უფრო დააშორეს თავის ბიძას. ამის გამო თამარიც ძალიან დაახლოვებით არ იცნობდა დიმიტრის, თუმცა მისი სიყვარული-ეჭქონდა, როგორც მახლობელის ნათესავისა.

რაკი ვაჭი-შვილი არა ჰყავდა გიორგი მეფეს, ამიტომ განზრახვა ჰქონდა ტახტის მემკვიდრეობა გადაეცა დიმიტრასთვის, როგორც უმახლობელესის თავის ნათესავისთვის. ასევე იყო დარწმუნებული მთელი ქართველობა. მაგრამ ორბელიანთათვის არ კმაროდა ასეთი დარწმუნება, იმათ უნდოდათ რაც შეიძლება მალე გამეფებულიყო მათი გაზრდილი დიმიტრი, რომ იმის გამეფებით პირველი ალაგი დაეჭირათ სამეფოში და უფრო მეტი გაეღენა და უფლება შეეძინათ. ამიტომ მოინდომეს გიორგი მეფისთვის წაერთმიათ ტახტი და გამეფებინათ დიმიტრი. ამ აზრით ორბელიანებმა შეთქმულება გამართეს, მიიმხრეს ხერხით და მოტყუილებით სხვა დიდებულებრიც და იმ საფუძველით, რომ ვითომ დაეთოს დროებით ჰქონდა გადაცემული გიორგისთვის მეფობა დიმიტრის სრულ-წლოვანობამდე, გაუღვენ მეფეს და დიმიტრი მეფედ გამოაცხადეს. გიორგი მეფეს ეს ამბავი ძალიან ეწყინა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დასახელებული საფუძველი არ იყო კანონიერი. გიორგი მეფის ძმას დაეთოს, რომელმაც ძალმომრეობით ჩამოაკდო ტახტიდან თავისი მამა დიმიტრი მეფე და თვით გამეფდა, არ ჰქონდა უფლება გადაეცა ვისთვისმე სამეფო ტახტი, რადგან თვით მამა მისი დიმიტრი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ცხოვრობდა მონასტერში. გიორგიმ დაიჭირა დაეთოს სიკვდილის შემდეგ მეფის ტახტი კანონიერათ, რადგან დიმიტრი მეფემ აღარ ინდომა მონასტრიდან გამოსვლა და დაუთმო თავისი ტახტი მას, როგორც ეს წინათაც ჰქონდა განზრახული. მეორეთ ის იყო საწყენი გიორგი მეფისთვის, რომ დიმიტრი მაინც ხომ უნდა მეფეთ გამხდარიყო მის სიკვდილის შემდეგ, როგორც ერთათ-ერთი

მემკვიდრე, და რაღა საჭირო იყო ძალით გამეფება მეფის სიცოცხ-
ლეშივე. ეს ხომ დიდი უპატივეცემულობა, უმადურობა და უზნეო-
ბა იყო. უფრო ამ უკანასკნელის მიზეზით მეტათ გარისხდა გიორგი
მეფე, როგორც თავის ძმისწულზე, ისე მის ჩამგონებელს ორბელია-
ნებზე. გაიგო თუ არა განდგომის ამბავი, შეკრიბა ჯარი და სწრა-
ფათ შევიდა სომხეთში, სადაც ორბელიანებს ჰქონდათ მამული. ორ-
ბელიანები არ ელოდნენ ასე სწრაფათ მეფეს წინამდევობას და
ძულღებულები შეიქნენ თავიანთ მცირეოდენის ჯარით გამაგრებუ-
ლად დიმიტრით და მიმდგომის დიდებულებითურთ ლორის ცი-
ხეში. გიორგი მეფემ მცირე ხნის გამაელობაში დაიჭირა სომხეთში
ორბელიანთ მამული, ხოლო მეჯინიბეთ-უზუტესმა ჭიბერმა დაა-
მარცხა კახეთში შეგროვილი ჯარი, რომელიც დიმიტრის მისამე-
ვლებლათ მიეშურებოდა ლორისკენ. გიორგის ასეთის გამარჯვებით
იმედ-დაკარგულმა ზოგიერთა დიდებულებმა მიატოვეს დიმიტრი და
შენდობა სთხოვეს გიორგი მეფეს. გიორგი მეფე ახლა თვით ლორის
ციხეს მიაღდა და ალყა შემოარტყა. ორბელიანები და ზოგიერთი სხვა
დიდებულება არა ნებდებოდნენ მეფეს და შემწეობის სათხოვნელათ
დიმიტრის სახელით გაგზანეს მოციქულები სპარსეთის მეფესთან.
გიორგი-კი ისევ ლორეს ადგა და მოსვენებას არ აძლევდა შიგ გა-
მომწყვდეულებს. სპარსეთის ჯარის მომლოდინე ორბელიანები იმე-
ლიანათ იყვნენ, საგრამ დიმიტრის-კი სასოება წაეყვითა და, შეიძლე-
ბა იმის გამოც რომ სეინილისმა ამხილა თავისი საქციელი, გადაწყვი-
ტა გიორგი მეფესთან მისვლა და შენდობის თხოვნა. ერთს ლამეს,
ორბელიანების შეუტყობინებლათ, ჩამოუშვა ციხის კედელზე გრძე-
ლი საბელი, ზედ ჩამოცოცდა ძირს და მივიდა გიორგი მეფესთან.
ამ ამბის შემდეგ თვით ორბელიანებიც დანებდნენ მეფეს. საქართვე-
ლოში რომ ეს ამბავი მოხდა, სპარსეთში მამინ დაძრა დიდი ჯარი
დიმიტრის მოსაშველებლათ, მაგრამ სპარსები ჯერ არ მოახლოვე-
ბოდნენ საქართველოს საზღვარს, რომ გაიგეს მომხდარი ამბავი და
უკანვე გაბრუნდნენ.

საქმის ასე კარგათ გათავებამ ვერ მოუღობო გიორგი მეფეს გარისხებული გული და სრულის სიმკაცრით დასაჯა დამნაშავეები. ორბელიანთაგან ზოგი დაახოცინა, ზოგს თვალები დათხრეინა და ზოგიც განდგენა საქართველოთგან ისე რომ ორბელიანი აღარაინ დატოვა თავის სამშობლოში. სხვა დიდებულებს და ყველა აზნაურებს მამული ჩამოართვა. ხოლო თავის ძმისწული დასაჯა მით, რომ ჯერ თვალები დათხრეინა და შემდეგ გამოასაჭურისებინა. საცოდავმა დიმიტრიმ ვერ აიტანა ასეთი სასჯელი და მალე მოკვდა. ეს ამბავი მოხდა 1178 წელს.

ამ განდგომილებამ და მისგან გამოწვეულმა გიორგი მეფის სიმკაცრემ შემადიწუნებელი შთაბეჭდილება იქონია თამარის დმოზიერს და ნაზს გულზე. საშინლათ სწუხდა თამარი დიმიტრის ასე შეუბრალებლათ დასჯას და ტირილით აწყენარებდა თავის შეწუხებულს მგრძნობიარე გულსა. ვერ შეეძლო გაემართლებინა მამის ასეთი სიმკაცრე და ეს კიდევ უფრო აწუხებდა. ამას ხედავდნ მშობლები და მამიდა და ამიტომ მის დასამშვიდებლათ ეცადნ თამარი დერწმუნებინათ, რომ ეს სამშობლოს კეთილდღეობისთვის საჭირო იყო, მაგრამ თამარის გული მაინც არ ეთანხმებოდა მათ.

განდგომილის ძმისწულის და ორბელიანების დასჯის შემდეგ, როცა გული დაიწყნარა გიორგი მეფემ, ისიც წუხდა თავის გადამეტებულის სიმკაცრისათვის, მაგრამ რაღას გააწყობდა. სენინდისის დასაწყნარებლათ მან უმატა ეკლესიების შენებას და შეწირვას.

დიმიტრის ასე უწყალოთ დასჯამ ერთი საკონებელი გაუჩინა გიორგი მეფეს და მთელს ქართველობას. ვინ უნდა ყოფილიყო მეფეთ გიორგის შემდეგ? ამ კითხვას აძლევდა თავის თავს ყველა. გიორგი მეფემ, ეთქვათ, ამ კითხვის პასუხი მალე იპოვა, მაგრამ სხვებმა-კი ვერ იპოვეს. ეს იმიტომ რომ ქალის გამეფებას საქართველოში არ იყვენ ჩვეულნი. დედოფლები ხშირათ ყოფილან მანამდე სამეფოს მმართველებათ შეილების მცირე-წლოვანების დროს, მაგრამ ნამდვილს მეფეებათ-კი არა. გიორგი მეფის განათლებულს გო-



ნებას-კი აღვიღათ მოუფედა აზრათ თავის ქალის გამეფება.—ქალს თუ მართვა შეუძლიან თავის შვილის მაგიერ, რატომ მეფობა-კი არ შეუძლიან თავის თავის მაგიერ? იკითხა მან და კიდევ გადასჭრა:— რატომაც არ შეუძლიან, მეტადრე თუ ეს ქალი ისეთი ჭკვიანია როგორც ჩემი ქალი თამარიო. თავისი აზრი მეფემ გაუზიარა დედოფალს და დას. ბურღუნანმაც და რუსუდანმაც მოიწონეს მისი აზრი. რადენსამე თევს გიორგი მეფემ ეს აზრი თავისთვის დაიცვა და დიდებულთაგან არავის შეატყობინა.

დიდებულები-კი იმის ფიქრში იყვნენ, რომ ეინმე გამოეცხებნათ სამეფოთ და თამარიც მისთვის მიეთხოვებინათ. ამ ფიქრში და ძიებაში დრო მიდიოდა და ტახტი-კი უმემკვიდროთ რჩებოდა. გიორგი მეფე სიკვდილის შიშმა შეიპყრო და ამიტომ უნდოდა სამეფოს საქმე თავის სიცოცხლეშივე ისე მოეწყო, რომ ტახტის დაქერის გამო არეულობა და დაეიდარაბა არ მომხდარიყო საქართველოში. წესი მოითხოვდა, რომ მეფეს თავის სიცოცხლეშივე გამოეცხადებინა თავის მემკვიდრე მეფე, რომელსაც გვირგვინს ადგამდა თვითვე და დიდებულებსაც მის ერთგულობის ფიცს ადებინებდა. გიორგიმ მოინდომა სწორეთ ამ წესისამებრ თამარი მეფეთ გამოეცხადებინა და დაევირგვინებინა. მაგრამ ამისთვის დიდებულთა თანხმობა იყო საჭირო, რადგან, როგორცა ვთქვით, ქალის მეფობა არ მომხდარიყო ვერ კიდევ საქართველოში.

ერთხელ დიდებულთა ბჭობაზე მეფემ სიტყვა ჩამოაგდო ტახტის მემკვიდრის დანიშვნაზე და ყველამ ყურები აცქეტიტა. როდესაც მეფემ წამოსთქვა თავისი სურვილი, რომ თამარი გამოეცხადებინათ მეფეთ, ყველანი გაოცებულნი დარჩენ და ჰკვირობდნენ იმას, რომ თითონ არ მოუფედათ წინათვე ესეთი ფიქრი. მთელმა კრებამ ერთხმით მოუწონა მეფეს ეს აზრი და დაადგინა თამარი ტახტის მემკვიდრე მეფეთ გამოეცხადებინათ.

დანიშნულს დღეს მეფის კარზე შეიკრიბნენ დიდებულები, ერისთავები, კათოლიკოსი, ეპისკოპოსები და ხელისუფლები, აგრეთვე

ჯარი აზნაურთა და გლეხთაგან. დადგენილის წესით გიორგი მეფემ შეიყვანა თამარი ღარბაზში, სადაც ღიდებულები იყვენ თავმოყრილნი და აიყვანა სამეფო ტახტზე. ფესვედით, ბისონით და ზეზით შემოსილს თამარს გიორგი მეფემ თავზე დაადგა სამეფო გვირგვინი, აკურთხა მამობრივის კურთხევით და გამოაცხადა მეფეთ, ღიდებულები და სხვა წარჩინებულები საითათათ წადგენ თამარის წინ, თაყვანი სცეს და შეჭვიცეს ერთგულობა. მწიგნობართ უხლცესი გაეიდა გარეთ და ჯარს აუწყა თამარის მეფეთ გამოცხადება. ამ ღღეს მეფემ ღიდი ნაღიმი და წვეულობა გამართა. ეს ამბავი მოხდა 1178 წელს.

თამარი ჯერ კიდეც პატარა იყო — თორმეტოდღე წლისა, მაგრამ ესმოდან-კია ის ღიდი მოვალეობა, რომელიც მან იტვირთა ანუ, უკეთ ვთქვათ, ატვირთეს. ამ ცერემონიის ღროს ისე იქცეოდა როგორც ღაბრძენებული და ჭკუა-ღამჯღარი ქალი. ამ ღღითგან უფრო ღიდი ცელიღება დაეტყო თამარს. თორმეტის წლისა-კი არა, რატომ თვარმეტის წლისა არ ეგონებოდა კაცს, როგორც ქცევით ისე მსჯელობით. აქამღის თუ თავისით იძიებდა და კითხულობდა საქვეყნო საქმეების ვითარებას, ახლა თვით გიორგი მეფე უზიარებდა ყველაფერს, აცნობდა საქმეებს და ისწრებდა ყოველგვარს სახელმწიფო საქმეთათვის ეამართულს ღიდებულთა ბჭობაზე. თავისუფალს ღროს თხმარი ატარებდა წიგნების კითხვაში და რუსუღანთან საუბარში. თამარს ახლა საკუთარი ოთახები ჭქონდა მიჩენილი და იქიღან იშვიათათ გამოღიოდა. რუსუღანიც თითონ დაიარებოდა მასთან და ამიტომ თამარი და დავით სოსღანი, რამღენისამე წლის მეგობრები და ამხანაგები. ახლა ძალიან იშვიათათ ხეღებოდღენ ერთმანერთს.

ორბელიანთ ამბოხების დაწყნარებას, როგორც ვთქვით, მოჭყვა აგრეთვე ამ ამბოხებაში მონაწილე სხვა ღიდებულების და აზნაურების დასჯა მამულის წართმევით. მრავალი ღიდებული და აზნაური, წინათ უზრუნველს და მდიღრულს ცხოღვრებას შეჩვეულნი და ახლა უმამულოთ დაჩინიღნი, ვერ ახერხებდღენ შრომიით და გარ-

ჯით ღარიბულათ ცხოვრებას. ამიტომ მათ ხელი მიჰყევს ცარცვით ცხოვრებას. გავარდნ მიუდგომელს ადგილებში, შეადგინეს ბრბოები და საცარცვათ ხან ერთს ადგილს ესხმოდნენ, ხან მეორეს. ქვეყანა მეტათ შეწუხდა მათ თავხედურის რბევა-ცარცვით და ჩიოდა მეფესთან.

გიორგი მეფე დაეკითხა დიდებულთა საბჭოს, თუ რა ღონე ეხმარათ ცარცვა-რბევის მოსასპობათ. საბჭომ ერთხმათ გადაწყვიტა შეედგინათ რადენიმე რაზმი და გავგზანათ საქართველოს სხვა-დასხვა მხარეს მინდობილობით, რომ მოექდნათ მცარცველების ბუნაგები, შეეპყრათ თვით მცარცველები და ადგილობრივე დაესაჯათ ჩამოხრჩობით. თამარიც დაესწრო ამ ბჭობას და, თუმცა ძალიან ეპაკრა ასეთის სასჯელის დადგენა, მაგრამ ხმა ევლარ ამოიღო მის წინამდევს, რადგან ქვეყანა ძალიან შეწუხებული იყო მცარცველებისგან. მთავრობის განკარგულება სწრაფათ შეასრულეს და ყოველის მხრითგან მალე მოვიდა ამბავი, რომ ამა და ამ ადგილს ესა და ეს დიდებული ან აზნაური შეიპყრეს და ჩამოახრჩესო. ამ ამბის გაგონება ძალიან სამწუხაროთ ჩჩებოდა თამარს და მის მგრძნობიარე გული მეტის-მეტათ სწუხდა უბედურების ასე მკაცრათ დასჯისათვის. ფიქრებში გართული თამარი ნატრობდა, ნეტავ ისე მოხერხდებოდეს, რომ წესიერების დასამყარებლათ მეფეს კაცის სიკვდილით დასჯა არა სჭირდებოდესო. ეს ამბავი მოხდა 1180 წელს.

ორის წლის შემდეგ თამარს ეწია დიდი მწუხარება. მოუყვდა საყვარელი დედა ბურღუნანი. დიდი შრომა დასჭირდა რუსუდანს, რომ რამენაირათ დაეწყინარებინა მწუხარე თამარი. მთელი წელიწადი იკლოვა ისე, რომ გარეთ არ გამოსულა. ბურღუნანის სიკვდილს ორის წლის შემდეგ მოჰყვა თვით გიორგი მეფის სიკვდილი. თამარი ახლაც ჩაემწყვდა თავის ოთახში და აღარაეის იკარებდა თავისთან. მაგრამ ახლა თამარი აღარ იყო თავისუფალი, რომ როგორც უნდოდა ისე ეგლოვა თავისი მამა. მას სხვა მოვალეობა აწვა როგორც მეფეს და ეს მოვალეობა გაახსენეს დიდებულებმა. მათ მიმართეს

რუსუდანს და სთხოვეს ჩაეგონებინა თამარისთვის, რომ გლოვანზე ხელი აეღო და სამეფო საქმეებს შესდგომოდა. პირველი საქმე იყო სამეფო ტახტზე ასელა და გვირგვინის დადგმა. რუსუდანმაც უჩიო თამარს და ისიც დამორჩილდა ქვეყნის მოთხოვნილებას და დანიშნა დღე ტახტზე ასელისათვის.

ამ დღისთვის შეიკრიბენ ტფილისში დიდებულები, ერისთავები, კათოლიკოსი, ეპისკოპოსები, ხელისუფლები და ლაშქარი. ქუთათელმა მთავარ-ეპისკოპოსმა ანტონ საღირსიძემ აკურთხა თამარი და დააგვირგვინა. შემდეგ წადგენ მის წინაშე ყველანი, თაყვანი სცეს და შეჭვიცეს ერთგულობა. აგრეთვე შეჭვიცა ერთგულობა მთელმა ლაშქარმა. თამარმა დიდი ნადიმი გადაუხადა დიდებულებს და ლაშქარს; აუარებელი მოწყალება გასცა გლახებსა და ობლებზე. მთელი დღე ქალაქში ისმოდა სპილენძ-ჭურთა, ქოსთა და წინწილთა ხმა. ეს იყო 1184 წელს.

დ. კარაგაშვილი.

(შემდეგი იქნება)





ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წამოდგენილი კოტე სესნიაშვილისგან).

მამლის ყივილი ხიდანა მცნებათ არ მიიმჩნევია.

მოკლე გზით მტერსა ელოდე, შორიდან მოკეთესაო.

ტურა და მელა ორივე ერთ გზას არიან მავალნიო.

ჩქარა გამოსააქმელი.

(წამოდგენილი შიქელ-გაბ. სკოლის მოწათის ჰავლე ტაბუკაშვილისგან).

შენი გიდელი გოდორ ბაწარ ლაღვილიანი,
არც აქეთ მეგიდელო—გოდორ—ბაწარ ლაღვილიანება,
არც იქით მეგიდელო—გოდორ—ბაწარ ლაღვილიანება.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(მღ. ბეს. ვაშაძის თარგმანი).

წერილათ ფქვამს, ჩქარა სჭამს, მაგრამ თითონ არ ჰყლანაეს.

უფროთ ფრინაეს—უფესეოთ იზრდება.

ერთ ქალაქში თორმეტი კოშკია, თითოეულ კოშკს ოთხ-ოთხი ფანჯარა აქვს, თითო ფანჯარიდან შეიდი თოფი ვარდება და თითო თოფი ოც-და-ოთხს ჩიტსა ჰყლავს.

ერთ უსულა ოსტატს არც ფეხები აბია, არც ხელები და ხიდებს-კი აკეთებს—პატარა მდინარეებში და დიდ წყლებში უიარალოთ.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოადგენილი კ. ფრონისშირქლისაგან).

შეიდი ასოთი შემდგარი
 სიტყვაა ორ მარცვლოვანი,
 სამი საჭმლისა მხატველი,
 გლენისთვის სახელოვანი.

რებუსი



110

3



მ
 თ



ს ვ ,

ს

ფლაგის
ორთქლი

ო
,
თ



ს



ს



ჩ
,
პ



100

ქ

ცის და ქვეყნის
გამჩენ

,
ს

ს

შ



ო
,
პ

ბალა-
ნი

ჯეჯილი
სარა ხარ?



ს

ძალოს
დაწევა



,
20

20


 ლ
 კ

ს



№ XII გამოცანებისა.

გამოცანები: 1) წაბლის ბუბგი, 2) კურღელი, 3) სიმინდი.
 შარადა: 1) გუგული, 2) ყარსი.

რებუსი: წისკვილის ქეები რომ ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ ცალმა რაჟდენიკ უნდა იბრუნოს ვერას დაუქეამსო.

რებუსი ასსნა: ახალციხის სამოქალაქო სკოლის მოწაფემ გაბრიელ დიდიაშვილმა.

«ჯეჯვილის» 1902 წლის XI №-ში დაბეჭდილ „ასსნა-ჩუქრის მისაღებ კითხვის“ ასსნა უადგილობის გამო ვერ იბეჭდება და მოთავსებული იქნება თებერვლის ნომერში.

საქმაწვილო ნახატებიანი ყუჩუნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ქუჩუნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ქუჩუნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისის გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — წერა-კითხვის გამ. საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თფით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисе, въ редакцію грузинскаго мѣсячнаго журнала „Джѣჯили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.